

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კაპიტალ ექსპრესი

2020 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება	7
ანგარიშება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
ფულადი ნაკადების ანგარიშება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კაპიტალ ექსპრესი-ს მფლობელებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კაპიტალ ექსპრესი (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აზნაგში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”. ჩვენ კომპანიისაგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

სხვა გარემოებები

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს, - აუდიტებულია სხვა აუდიტორის მიერ. აუდიტის დასკვნა დათარიღებულია 2020 წლის 3 ივლისით და გამოხატავს არამოდიფიცირებულ მოსაზრებას ზემოთხსენებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგება დათარიღებული 2021 წლის 3 ივნისით და წარმოდგენილია მხოლოდ ქართულ ენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს, არის თუ არა მასში გამჟღავნებული სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ

ადგილი ექნება არსებით უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ შეფასებას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემთხვევითი რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემთხვევითი რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.

- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის ვახტანგ ცაბაძე.

ვახტანგ ცაბაძე

შპს გრანტ თორნტონის სახელით

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის # SARAS-A-74309)



3 ივნისი, 2021

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ქართულ ლარში	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	226,770	322,090
გაცემული სესხები	5	3,753,259	3,204,575
აქტივების გამოყენების უფლება	6	54,675	67,560
ძირითადი საშუალებები	7	19,374	33,812
არამატერიალური აქტივები	8	32,815	43,520
ინვესტიციები მკვავშირე საწარმოებში	9	-	227,941
სხვა აქტივები	10	225,605	90,531
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	11	67,691	24,515
სხვა საგადასახადო აქტივები		-	71,999
სულ აქტივები		<u>4,380,189</u>	<u>4,086,543</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,522,940	1,522,940
გაუნაწილებელი მოგება		1,041,384	1,110,077
		<u>2,564,324</u>	<u>2,633,017</u>
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	1,692,546	1,363,205
საიჯარო ვალდებულებები	13	47,855	75,505
სხვა ვალდებულებები		75,464	14,816
		<u>1,815,865</u>	<u>1,453,526</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>4,380,189</u>	<u>4,086,543</u>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2021 წლის 3 ივნისს:

თენგიზ მაჭავარიანი
აღმასრულებელი დირექტორი



ალექსანდრე ხასია
მთავარი ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-43 გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ქართულ ლარში	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<i>აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	226,770	322,090
გაცემული სესხები	5	3,753,259	3,204,575
აქტივების გამოყენების უფლება	6	54,675	67,560
ძირითადი საშუალებები	7	19,374	33,812
არამატერიალური აქტივები	8	32,815	43,520
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	9	-	227,941
სხვა აქტივები	10	225,605	90,531
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	11	67,691	24,515
სხვა საგადასახადო აქტივები		-	71,999
სულ აქტივები		4,380,189	4,086,543
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი		1,522,940	1,522,940
გაუნაწილებელი მოგება		1,041,384	1,110,077
		2,564,324	2,633,017
<i>ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	12	1,692,546	1,363,205
საიჯარო ვალდებულებები	13	47,855	75,505
სხვა ვალდებულებები		75,464	14,816
		1,815,865	1,453,526
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,380,189	4,086,543

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2021 წლის 3 ივნისს:

თენგიზ მაჭავარიანი

აღმასრულებელი დირექტორი

ალექსანდრე ხასია

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-43 გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ქართულ ლარში	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო შემოსავალი	15	969,296	1,162,707
საპროცენტო ხარჯი	15	(213,693)	(218,953)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		755,603	943,754
ცვლილება კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხში	5	(102,179)	90,711
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		653,424	1,034,465
საკომისიო და სხვა შემოსავალი	16	183,008	252,741
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	17	(565,761)	(725,555)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		88,698	(19,012)
მოგება დაბეგვრამდე		359,369	542,639
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(28,822)	(98,103)
წლის მოგება		330,547	444,536
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		330,547	444,536

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-43 გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვარი	1,522,940	1,831,624	3,354,564
გაცემული დივიდენდები	-	(1,166,083)	(1,166,083)
სულ ოპერაციები მფლობელებთან	-	(1,166,083)	(1,166,083)
წლის მოგება	-	444,536	444,536
მთლიანი სრული შემოსავალი	-	444,536	444,536
2019 წლის 31 დეკემბერი	1,522,940	1,110,077	2,633,017
გაცემული დივიდენდები	-	(399,240)	(399,240)
სულ ოპერაციები მფლობელებთან	-	(399,240)	(399,240)
წლის მოგება	-	330,547	330,547
მთლიანი სრული შემოსავალი	-	330,547	330,547
2020 წლის 31 დეკემბერი	1,522,940	1,041,384	2,564,324

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-43 გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	359,369	542,639
კორექტირებები:		
სესხების გაუფასურების ხარჯის ცვლილება	102,179	(90,711)
ცვეთა და ამორტიზაცია	81,843	162,612
საპროცენტო შემოსავალი	(969,296)	(1,162,707)
საპროცენტო ხარჯი	213,693	218,953
მოგება დასაკუთრებული ქონების რეალიზაციით	(14,570)	(39,011)
წმინდა (მოგება)/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(88,698)	19,012
<i>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე</i>	<i>(315,480)</i>	<i>(349,213)</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები	(576,855)	1,340,550
სხვა აქტივები	(129,491)	126,426
სხვა ვალდებულებები	63,539	(68,396)
<i>ფულადი ნაკადების შემოდინება(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>(958,287)</i>	<i>1,049,367</i>
მიღებული პროცენტები	1,116,713	1,159,481
გადახდილი პროცენტები	(188,179)	(215,727)
გადახდილი მოგების გადასახადი	(38,490)	(110,111)
<i>ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>(68,243)</i>	<i>1,883,010</i>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(56,782)	(325)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(3,500)
სარეალიზაციოთ განკუთვნილი აქტივები	227,941	-
<i>ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება(გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<i>171,159</i>	<i>(3,825)</i>
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
სესხების მიღება	2,783,212	2,166,762
სესხების გადახდა	(2,563,010)	(3,379,536)
საიჯარო ვალდებულებები	(27,650)	(121,384)
დივიდენდების გადახდა	(399,240)	(1,162,810)
<i>ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან</i>	<i>(206,688)</i>	<i>(2,496,968)</i>
წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(103,772)	(617,783)
ფულადი სახსრების გადაფასების ეფექტი	8,452	4,538
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	322,090	935,335
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	226,770	322,090

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-43 გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

1 ძირითადი საქმიანობა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კაპიტალ ექსპრესი (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2012 წლის 20 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 404434028.

დაარსების დღიდან დღემდე კომპანია გასცემს სამომხმარებლო სესხებს. მისი მისამართია თბილისი, გახოკიძის ქუჩა #6. კომპანია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ").

2020 წლის 16 მარტიდან, ადგილი ჰქონდა ცვლილებას მფლობელებში: მაკა გოცირიძე გახდა 100%-იანი წილის მფლობელი კომპანიაში.

მფლობელი	წილი	
	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მაკა გოცირიძე, საქართველოს მოქალაქე	100.00%	0.00%
ვლადიმერ შარიქაძე, საქართველოს მოქალაქე	0.00%	30.00%
თამარ შარიქაძე, საქართველოს მოქალაქე	0.00%	30.00%
ნინო შარიქაძე, საქართველოს მოქალაქე	0.00%	30.00%
ვახტანგ გოკიელი, საქართველოს მოქალაქე	0.00%	10.00%

კომპანიას ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი. კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბიზნეს პოლიტიკას და ნიშნავს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც მოცემულია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში "ლარი"), როგორც ვალუტა რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა უფრო გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის. ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის თანახმად მოითხოვს რომ მენეჯმენტმა გამოიყენოს კრიტიკული შეფასება და დაშვებები რომლებიც მოქმედებს რეპორტის თანხებზე აქტივების და ვალდებულებების ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის და რეპორტის თანხებზე შემოსავლების და ხარჯების პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები მოიცავს მაღალი ხარისხის შეფასებას და კომპლექსურობას, ან ნაწილები სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის ნაჩვენებია ფინანსური ანგარიშგების მე-17-ე შენიშვნაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეფუძნება მენეჯმენტის მიერ მიმდინარე მოვლენებისა და ღონისძიებების საუკეთესო ცოდნას, რეალური შედეგები, საბოლოო ჯამში, შესაძლოა განსხვავდებოდეს არსებული შეფასებებისგან და მოხდეს თავდაპირველი შეფასებებისა და დაშვებების მოდიფიცირება იმ წლისთვის, როცა ეს გარემოებები შეიცვალა.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული ადრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება გაშლილია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2020 წლის 1 იანვრიდან

ქვემოთ მოცემულ ახალ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს, რომლებიც პირველად ძალაში შევიდნენ 2020 წელს, მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური ჩარჩო
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის შესწორება)
- მატერიალობის განმარტება (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორება)
- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმა (ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორება)
- კოვიდ 19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები (ფასს 16-ის შესწორება)

არსებული სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

მენეჯმენტი არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან გავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე შემდეგი სტანდარტებისა და დამატებების შესაბამისად:

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის მეორე ფაზა (ფასს 9-ის, ბასს 39-ის, ფასს 16-ის, ფასს 4-ისა და ფასს 7-ის შესწორებები)
- ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები
- შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის შესწორება)
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის შესწორება)
- წაგებიანი ხელშეკრულება – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები (ბასს 39-ის შესწორება)
- 2018-2020 წლებში განხორციელებული ფასს გაუმჯობესებები (ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ბასს 41-ისა და ფასს 16-ის შესწორებები)

- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ბასს 1-ის შესწორება)

3 ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ევრო 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი და 3.2095 ევრო).

არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღრიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით). გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობა, გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით, აისახება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, ადმინისტრაციული ან სხვა ჯერ განუსაზღვრელი მიზნებისთვის, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანის და ინსტალირების ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, სესხებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებად ხარჯებს. შენობები რომლებსაც კომპანია ფლობს იჯარით, ასევე შედის ძირითად საშუალებებში თუ იჯარა განეკუთვნება ფინანსური იჯრის კატეგორიას. ასეთი აქტივები იცვითება სასარგებლო სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირესის პერიოდის განმავლობაში.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სატრანსპორტო საშუალებები	– 6 years
კომპიუტერები	– 3-5 years
ავეჯი და სხვა	– 3-5 years

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომლებსაც აქვთ სასრული სასარგებლო სასიცოცხლო ვადა, აისახება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალში, ან ემატება სხვა აქტივის ღირებულებას პირდაპირი ხარჯის საფუძველზე, არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში წრფივ მეთოდით, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფისთვის 10 წლით არის შეფასებული.

3.4 იჯარით აღიარებული აქტივები

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს სალიზინგო შეთანხმებებს, ძირითადად, საოფისე ფართის უზრუნველსაყოფად. როგორც წესი, ოფისებისთვის გაქირავების ხელშეკრულებების ვადა შეთანხმებულია 1 – დან 5 წლამდე პირობით, ხოლო ზოგიერთ მათგანს არის გაგრძელების უფლებით. იჯარის შესახებ მოლაპარაკება ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე და არ შეიცავს დამატებით პირობებს, ისეთებს, როგორიცაა შესყიდვის უფლება და ესკალაციის მუხლები.

კომპანია აფასებს, წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულება გაფორმების დროისთვის იჯარას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარის პირობებს. მოიჯარე გადასცემს აქტივის გამოყენებისა და ამა აქტივთან დაკავშირებული მთლიანი სარგებლის მიღების უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში განსაზღვრულ გასამრჯელოს სანაცვლოდ.

კომპანიამ აირჩია არ დაეყო თავისი იჯარით ფლობილი ოფისები საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებად და ამის ნაცვლად აღრიცხავდა ამ ხელშეკრულებებს, როგორც ერთ საიჯარო კომპონენტს.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში..

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით). კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის

გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანია, როგორც მეიჯარე, ყოფს იჯარით გაცემულ ქონებას როგორც საოპერაციო და ფინანსური იჯარა.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურად, თუკი აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს, ხოლო თუ ასე არ ხდება, იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო.

3.5 ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3.6 საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დამატებით, გარდა შემდეგისა:

ა) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებიდან კომპანია ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე იყენებს კრედიტზე მორგებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის შეძენილი ან გაუფასურებული ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდეგ ხდებიან გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის, კომპანია შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე იყენებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფინანსური აქტივებთან ან ფინანსური ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიანების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ჯარიმებიდან შემოსავალი შესულია საპროცენტო შემოსავალში, როგორც საკრედიტო რისკის ნაგულისხმები კომპენსაცია.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას კომპანია მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აფასებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გამოყენებით, გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯების და სხვა პრემიებისა თუ დისკონტირებების განუყოფელ ნაწილს.

3.7 გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებელიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის გაცემის საკომისიოს გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით.

თუ მოსალოდნელია, რომ სესხის გაცემის ვალდებულება შედეგად გამოიღებს კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება აღნიშნული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით.

თუ მოსალოდნელი არ არის, რომ სესხის გაცემის ვალდებულება კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას განაპირობებს, ხდება სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიოს აღიარება სესხის გაცემის ვალდებულების დარჩენილი პერიოდის მოგებაში ან ზარალში. თუ სესხის გაცემის ვალდებულების ვადა სესხის გაუცემლად ამოიწურება, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო ვადის გასვლისთანავე აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. სესხის მომსახურების ღირებულების აღიარება ხდება შემოსავლად მომსახურების გაწევისთანავე.

ყველა დანარჩენი საზღაურის და საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურებების გაწევისთანავე.

3.8 დასაკუთრებული აქტივები

კონკრეტულ ვითარებებში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტირებული სესხების უზრუნველყოფის საგნის გამოყენების შემდეგ. კომპანია დასაკუთრებულ აქტივებს იყენებს დეფოლტირებული სესხით მართებული თანხების დაფარვის ფორმის სახით და მათ მიიჩნევს შეძენილ აქტივად და ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნულად.

დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

2019 წელს კომპანიამ შეცვალა სესხის გაუფასურების რეზერვის დანაგარიშების პოლიტიკა. კომპანიამ გამოიყენა ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა ბასს 39-ის ნაცვლად. გადანაგარიშების შედეგად შეიცვალა კლიენტზე გაცემული სესხების რეზერვის ნაშთი და გაუფასურების ანარიცხი, რომელმაც გავლენა იქონია გადავადებული მოგების გადასახადის აქტივსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას კომპანიის მიერ განხორციელებული ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების გავლენის შესახებ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

ფასს 9-ის მოთხოვნები წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას ბასს 39-ის ფინანსური ინსტრუმენტებიდან: აღიარება და შეფასება. ახალ სტანდარტს ფუნდამენტური ცვლილებები შეაქვს ფინანსური აქტივების აღრიცხვასა და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის გარკვეულ ასპექტებში.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს (IFRS) 9-ის კლასიფიკაცია ზოგადად იმ ბიზნეს მოდელს ეფუძნება, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის მართვა. ეს კლასიფიკაცია ასევე სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს ითვალისწინებს. ის აუქმებს არსებულ ბასს (IAS) 39-ის დაფარვამდე ფლობილის, სესხებისა და დებიტორული დავალიანების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფასს (IFRS) 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

ფასს (IFRS) 9 ბასს (IAS) 39-ში არსებულ 'განცდილი ზარალის' მოდელს 'მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის' მოდელით ჩაანაცვლებს. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე ეხება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებს და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს, მაგრამ არა ინვესტიციებს აქტიონერულ კაპიტალში. ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე, საკრედიტო ზარალი უფრო ადრე აღიარდება, ვიდრე ბასს (IAS) 39-ის ფარგლებში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში, რომლებიც ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ გამოიწვია, რეტროსპექტულად გამოიყენებოდა. ფასს (IFRS) 9-ის მიღებით გამოწვეული სხვაობა ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ქვემოთ იხილეთ ახსნა-განმარტებები, ასევე მეტი ინფორმაცია და დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს კომპანია ფასს (IFRS) 9-ის მოთხოვნებს.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე. აღიარებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გარიგების ღირებულება განსხვავდება თავდაპირველი აღიარებისას არსებული სამართლიანი ღირებულებისგან, კომპანია ამგვარ სხვაობებს შემდეგი სახით აღრიცხავს.

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მოგებაში ან ზარალში (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- ყველა სხვა შემთხვევაში სამართლიანი ღირებულება შეიცვლება გარიგების ღირებულებასთან მოსარგებლად (ე.ი. პირველი დღის მოგება ან ზარალი შეიცვლება მისი აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაში შეტანის გზით).

თავდაპირველი აღიარების შემდეგ გადავადებული შემოსულობა ან ზარალი გადავა მოგებაში ან ზარალში რაციონალურ საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიშვება ფაქტორში (მათ შორის დროში) ცვლილებიდან, რომელსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები, აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ქვემოთ მოცემული შეფასების კატეგორიებიდან ერთერთში: ამორტიზებული ღირებულება; სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში; ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანაც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის გზით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

არა სავაჭროდ ფლობილი კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას კომპანიას შეუძლია გამოუთხოვადად შეიყვანოს შემდგომი ცვლილებები ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში სხვა სრულ შემოსავალში. ეს გადაწყვეტილება თითოეულ ინვესტიციაზე ცალკე მიიღება. ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული და ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ზემოთ აღწერილი ფორმით, სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება. ის მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივს.

თავდაპირველი აღიარებისას კომპანიას შეუძლია გამოუხმობად განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად დააკმაყოფილებდა ამორტიზებული ღირებულებით შეფასების მოთხოვნებს ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში მოგებაში ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულებით შეფასების მდგომარეობით, თუ ამგვარი მოქმედება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვან ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

შეფასების კატეგორიებში კლასიფიცირებული კომპანიის ფინანსური აქტივებია შემდეგი:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები (SPPI)	შეფასების კატეგორია
ბანკში არსებული ფულადი ნაშთები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანებები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანია ახდენს იმ ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობა პორტფელურ დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის და ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდების მეთოდს. ამგვარი ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- დამტკიცებული პოლიტიკები და პორტფელის მიზნები, ასევე ამ პოლიტიკების პრაქტიკაში გამოყენება. ეს მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, ხელმძღვანელობის სტრატეგია არის თუ არა ორიენტირებული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადების ნებისმიერი დაკავშირებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებაზე და ფულადი ნაკადების გამოთავისუფლებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის მაჩვენებლის შეფასება ან კომპანიის ხელმძღვანელობისთვის ანგარიშგება;
- როგორ ვასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- როგორ ხდება მენეჯერების კომპენსირება, ე.ი. ეფუძნება თუ არა კომპენსაცია მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- წინა პერიოდებში ფინანსური აქტივების გაყიდვის სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები მომავალი გაყიდვის საქმიანობის შესახებ.

ფინანსური აქტივები, რომელთა ფლობაც ან მართვა გაყიდვის მიზნით ხდება, ასევე რომელთა მაჩვენებელი ვასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით ვასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, რადგან მათი ფლობა არ ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით.

შეფასება იმისა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს

ამ შეფასების მიზნებისთვის „ძირითადი თანხა“ ნიშნავს ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ არის ფულის დროის ღირებულების და კონკრეტული დროის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის. ასევე სხვა ძირითადი საკრედიტო რისკების და ხარჯების გადასახადი (მაგ.: ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს, კომპანია ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს

მოიცავს შეფასებას იმისა, რომ ფინანსური აქტივი მოიცავს სახელშეკრულებო პირობას, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან რაოდენობა, როდესაც არ ხდება ამ პირობის დაცვა. ამ შეფასების გაკეთებისას, კომპანია ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობები, რომლებმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო კუპონის განაკვეთი, მათ შორიც ცვლადგანაკვეთიანი შესაძლებლობები;
- ავანსები და გახანგრძლივების შესაძლებლობები; და
- ვადები, რომლებიც ზღუდავენ კონკრეტული აქტივებიდან კომპანიის ფულადი ნაკადები მოთხოვნას (ე.ი. შემობრუნების ფუნქციის არმქონე შესაძლებლობები).

რეკლასიფიკაცია

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია არ ხდება, გარდა პერიოდისა მას შემდეგ, რაც კომპანია შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის საფუძველზეც კომპანია ფინანსური აქტივების ფლობს, შეიცვლება, მოხდება გავლენის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნები პერსპექტიულად გამოიყენება პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღიდან, ბიზნეს-მოდელი ცვლილების შემდეგ, რაც იწვევს კომპანიის ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას. მიმდინარე ფინანსური წლის და წინა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, არ მომხდარა ცვლილება იმ ბიზნეს-მოდელში, რომელშიც კომპანია ფინანსურ აქტივებს ფლობს და შესაბამისად რეკლასიფიკაციები არ განხორციელდება. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში გათვალისწინდება სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე ქვემოთ აღწერილი ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ.

კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა დებიტორული დავალიანებები

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა აქტივებში შესული კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა დებიტორული დავალიანებები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული არაწარმოებული ფინანსური აქტივებია. კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ხოლო შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაუფასურება

კომპანია აღიარებს ზარალს რეზერვს იმ ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივების გარდა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს ზარალის რეზერვში ოდენობით, რომელიც უტოლდება:

- 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ე.ი. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევებიდან ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (შეესაბამება 1-ელ დონეს); ან
- სიცოცხლის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ე.ი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (შეესაბამება მე-2 და მე-3 დონეებს).

ზარალის რეზერვი სიცოცხლის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც საჭიროა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, თუ ამგვარი ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

სხვა დებიტორული დავალიანების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის მიმდინარე ღირებულების ვარაუდზე დაფუძნებულ შეფასებას. ისინი ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის სხვადასხვა მომავალი ეკონომიკური სცენარის შეწონვის განხორციელების და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების გზით.

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურ საფუძველზე, სესხების იმ პორტფელისთვის, რომლებსაც ეკონომიკური რისკის მსგავსი მახასიათებლები აქვთ.

გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებული ფინანსური აქტივები მე-3 დონის აქტივებს წარმოადგენს. გაუფასურების მტკიცებულება მოიცავს ემპირიულ მონაცემებს შემდეგი მოვლენების შესახებ:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- მსესხებლის ფინანსური სირთულეებით გამოწვეული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, კრედიტორმა მსესხებელს შესთავაზა დათმობა, რომელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ მოიაზრებდა;
- აღნიშნული ფასიანი ქაღალდის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო; ან
- ფინანსური აქტივის ნასყიდობა დიდი ფასდაკლებით, რომელიც ასახავს გაწეულ საკრედიტო ზარალს.

შესაძლებელი არ უნდა იყოს ერთი კონკრეტული მოვლენის გამოვლენა - ფინანსური აქტივების გაუფასურება შესაძლოა გამოეწვიოს რამდენიმე მოვლენის ერთობლიობას. თითოეულ ანგარიშგების თარიღში კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ან სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს.

სესხი გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც მსესხებელს მიენიჭება დათმობა მისი ფინანსური პირობების გაუარესების გამო, სანამ წარმოდგენილი არ იქნება მტკიცებულება იმისა, რომ დათმობის მინიჭების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოუღებლობის რისკი მნიშვნელოვნად შემცირდა და გაუფასურების სხვა ინდიკატორები არ არსებობს. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც შესაძლოა გაიცეს, მაგრამ არ გაცემულა დათმობები, აქტივი გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ემპირიული მტკიცებულება, ამთ შორის დეფოლტის განმარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დეფოლტის განმარტება (იხილეთ ქვემოთ) მოიცავს ინდიკატორების და შემზღუდველების გადახდის შესაძლებლობის არარსებობას, თუ თანხა 90 დღეზე მეტი ვადით იქნება ვადაგადაცილებული.

დეფოლტის განმარტება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დეფოლტის განმარტებას. დეფოლტის განმარტება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში და იმის განსაზღვრებაში ზარალის რეზერვი 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს წარმოადგენს თუ არსებობს მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან დეფოლტი დეფოლტის ალბათობის (PD) კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც მოქმედებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

კომპანია შემდეგ შემთხვევებს მიიჩნევს დეფოლტის შემთხვევად:

- მსესხებელს აქვს კომპანიის წინაშე ნებისმიერი არსებითი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება; ან
- მსესხებელი სავარაუდოდ სრულად ვერ გადაიხდის კომპანიის წინაშე არსებულ საკრედიტო ვალდებულებას.

დეფოლტის განმარტება განისაზღვრება სხვადასხვა ტიპის აქტივების განსხვავებული მახასიათებლების ასახვისთვის. იმის შეფასებისას, მსესხებელი შესძლებს თუ არა მისი საკრედიტო ვალდებულების დაფარვას, კომპანია ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ ინდიკატორებს. ისეთი რაოდენობრივი ინდიკატორები, როგორიც არის ვადაგადაცილების სტატუსი და იმავე კონტრაქტის სხვა ვალდებულების არ დაფარვა, ამ ანალიზის მნიშვნელოვანი შემავალი ინფორმაციაა. კომპანია იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს დეფოლტის შესაფასებლად, რომლებიც კომპანიის შიგნით შემუშავდება ან გარე წყაროებიდან მიიღება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ბანკი აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ. საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, კომპანია შეაფასებს ზარალის რეზერვს აქტივის არსებობის მანძილზე, და არა 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა არ უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც მიიჩნევა, რომ ანგარიშგების თარიღში 'დაბალი' საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი. შედეგად, კომპანია აკონტროლებს ყველა ფინანსურ აქტივს, რომელიც გაუფასურებას ექვემდებარება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამო.

იმის შეფასებისას, ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ანგარიშგების თარიღში ინსტრუმენტის დარჩენილი დაფარვის ვადის საფუძველზე ფინანსურ ინსტრუმენტზე წარმოშობილ დეფოლტის რისკს ადარებს წარმოშობილი დეფოლტის რისკს, რომელიც მოსალოდნელი იყო დარჩენილ დაფარვის ვადაზე მიმდინარე ანგარიშგების თარიღში, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი პირველად იქნა აღიარებული. ამ შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას, რომელიც გონივრული და საფუძვლიანია, მათ შორის განვლილ გამოცდილებას და საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი დანახარჯების და მცდელობების გარეშე, კომპანიის განვლილი გამოცდილების და საექსპერტო საკრედიტო შეფასების, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანია მის კონტრაპენტებს შესაბამის შიდა საკრედიტო რისკის შეფასებას აძლევს, მათი საკრედიტო ხარისხიდან გამომდინარე. რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის უპირატესი ინდიკატორია და ის სიცოცხლის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას ეფუძნება შემდეგი მონაცემების შედარების გზით:

- ანგარიშგების თარიღისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა;
- დროის კონკრეტულ მომენტისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეფასდა დაქვემდებარების თავდაპირველი აღიარების დროს არსებული ფაქტებისა და ვითარებების საფუძველზე.

გამოყენებული დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს საპროგნოზო ინფორმაციას და კომპანია ამ მეთოდოლოგიას და მონაცემებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შესაფასებლად იყენებდა.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე მეტყველი თვისებრივი ფაქტორები სასწრაფო წესით აისახება დეფოლტის ალბათობის მოდელში. თუმცა, კომპანია კვლავ განცალკევებით ითვალისწინებს რამდენიმე თვისებრივ ფაქტორს, რათა შეაფასოს მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. კომპანია ითვალისწინებს გადახდასთან დაკავშირებულ შეღავათებს და არასამუშაო დღეებს, საკრედიტო ქულებს და ისეთ მოვლენებს, როგორიც არის უმუშევრობა, გაკოტრება ან გარდაცვალება. იმის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ შედარებითი მოვლენაა და მოცემული ცვლილება დეფოლტის ალბათობაში მეტად მნიშვნელოვანი იქნება უფრო დაბალი თავდაპირველი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის, ვიდრე უფრო მაღალი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

შემაკავებელი ღონისძიების სახით, როდესაც აქტივი 30 დღის განმავლობაში იქნება ვადაგადაცილებული, კომპანია მიიჩნევს, რომ წარმოიშვა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და რომ აქტივი გაუფასურების მოდელის მე-2 დონეზეა, ე.ი. ზარალის რეზერვი ფასდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სახით.

ფინანსური აქტივების ცვლილება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის ცვლილება ხდება ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მმართველი სახელშეკრულებო პირობების გადახედვის ან სხვაგვარად ცვლილების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის თავდაპირველ აღიარებასა და დაფარვის ვადას შორის პერიოდში. ცვლილება მოქმედებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თანხაზე და/ან ვადებზე, მაშინვე ან მომავალ პერიოდებში.

კომპანია ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებზე გაცემულ სესხებს განმეორებით ათანხმებს, სესხის დაბრუნების მაქსიმალურად გაზრდის და დეფოლტის წარმოშობის რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით. სესხის პირობების ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ყველა გონივრულ

მცდელობას განახორციელებს საწყისი სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე გადახდის შესასრულებლად, არსებობს დეფოლტის წარმოშობის მაღალი რისკი ან დეფოლტი უკვე წარმოიშვა და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შესძლებს შეცვლილი პირობების დაკმაყოფილებას. უმეტეს შემთხვევაში შეცვლილი პირობები მოიცავს სესხის ვადის გახანგრძლივებას, სესხის ფულადი ნაკადების (ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა) ვადების ცვლას, ვადადამდგარი ფულადი ნაკადების თანხის (ძირითადი თანხის და პროცენტის პატიება) შემცირება და სხვა პირობების ცვლილება.

ფინანსური აქტივის ცვლილებისას, კომპანია აფასებს ხომ არ უნდა მოხდეს ამგვარი მოდიფიცირებული შედეგების აღიარების შეწყვეტა. კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, ცვლილება იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც ის წარმოქმნის არსებითად განსხვავებულ პირობებს. იმის განსასაზღვრად, მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობებისგან, კომპანია ითვალისწინებს შემდეგს:

- ისეთი თვისებრივი ფაქტორები, როგორიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ცვლილების შემდეგ აღარ არიან წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ვალუტის ცვლილებას ან კონტრაქტის ცვლილებას, საპროცენტო განაკვეთების, ვადიანობის და ვალდებულებების ცვლილების დიაპაზონს. თუ ეს გარკვევით არ მეტყველებს არსებით მოდიფიკაციაზე, მაშინ;
- ტარდება რაოდენობრივი შეფასება, რათა მოხდეს თავდაპირველი პირობების ფარგლებში დარჩენილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან შეცვლილი პირობების ქვეშ, როდესაც ორივე თანხა დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ მიმდინარე ღირებულებაში სხვაობა 10%-ზე მეტია, კომპანია მიიჩნევს, რომ გარიგება არსებითად განსხვავებულია და იწვევს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასდება აღიარების შეწყვეტის თარიღში, რათა განისაზღვროს ამ თარიღში აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება. სხვაობა ამ შეცვლილი საბალანსო ღირებულებასა და ახალი ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის, ახალი პირობებით, აღიარების შეწყვეტისას გამოიწვევს შემოსულობას ან ზარალს. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე განისაზღვრება, გარდა იშვიათი ვითარებებისა, როდესაც მოიაზრება ახალი სესხის გაცემა - გაუფასურება. ეს ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც ახალი სესხის სამართლიანი ღირებულება აღიარდება მნიშვნელოვანი დისკონტირებით მის შეცვლილ ნომინალურ ღირებულებამდე, რადგან იარსებებს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც, არ შემცირებულა მოდიფიკაციის შედეგად. კომპანია აკონტროლებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის შეფასების გზით, თითქმის მსესხებელი ვადაგადაცილების სტატუსში იყოს, ახალი პირობების საფუძველზე.

როდესაც იცვლება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები და მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების ცვლილებას, კომპანია განსაზღვრავს, ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

კომპანიის ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც მოდიფიცირდება კომპანიის რესტრუქტურისთვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილის სახით, როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, დეფოლტის ალბათობა ასახავს კომპანიის უნარს მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები, კომპანიის მსგავსი რესტრუქტურისთვის ქმედების მქონე წინა გამოცდილების, ასევე სხვადასხვა ქცევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის მსესხებლის გადახდი მაჩვენებლების ჩათვლით, მოდიფიცირებულ სახელშეკრულებო პირობებში. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად აღემატება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელს, ზარალის რეზერვის შეფასება გაგრძელდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის ოდენობით. ზარალის რეზერვი წინამორბედი სესხებისთვის ზოგადად შეფასდება მხოლოდ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, როდესაც იარსებებს მტკიცებულება იმისა, რომ მსესხებელმა გააუმჯობესა გადახდის ქცევა, საკრედიტო რისკში წინა მნიშვნელოვანი ზრდის შემობრუნების შემდეგ განხორციელებული მოდიფიცირების გამო.

როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, კომპანია მოდიფიკაციით წარმოქმნილ შემოსულობას/ზარალს ანგარიშობს ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ მთლიანი საბალანსო ღირებულების შედარების გზით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით). კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს მოდიფიცირებული აქტივისთვის, სადაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შესულია საწყისი აქტივიდან წარმოშობილი ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტის დაანგარიშებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო უფლებებს აქტივის ფულად ნაკადებზე ვადა გაუვა (მათ შორის ვადის გასვლა მოხდება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირებიდან), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი სხვა საწარმოს გადაეცემა. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას.

ჩამოწერები

სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ ექნება გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგება. ამ დროს კომპანია განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწერას დაქვემდებარებული თანხების გადასახდელად. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. კომპანიამ შესაძლოა გამოიყენოს აღსრულების საქმიანობები, ფინანსური აქტივების ჩამოსაწერად. კომპანიის მიერ გატარებული აღსრულების ღონისძიებებით ამოღებული თანხები გაუფასურების შემოსულობას გამოიწვევს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივის მისაწოდებლად ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გასაცვლელად სხვა საწარმოსთან ისეთ პირობებში, რომლებიც არსებითად არახელსაყრელია კომპანიისთვის ან ხელშეკრულებით, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით ან არის არაწარმოებული ხელშეკრულება, რომლისთვისაც კომპანია ვალდებულია ან შესაძლოა ვალდებული იყოს წარმოადგინოს მისი ცვლადი რაოდენობის წილობრივი ინსტრუმენტები ან განსხვავებული ხელშეკრულება საკუთარ კაპიტალზე, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ფიქსირებული რაოდენობის ნაღდი ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) გაცვლის გარეშე კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობისთვის.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის“ კატეგორიაში, როდესაც (i) ფინანსური ვალდებულების ფლობის მიზანია ვაჭრობა ან (ii) მისი დანიშნულებაა სამართლიანი ღირებულებით შეფასება და მოგებაში ან ზარალში ასახვა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო გადაფასებისას მიღებული შემოსულობა/ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. მოგებაში ან ზარალში აღირიცხული წმინდა შემოსულობა/ზარალი მოიცავს ფინანსურ ვალდებულებაზე გადახდილ ნებისმიერ პროცენტს და ის შესულია წმინდა შემოსავალში სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, მოგება-ზარალის ანგარიშის მუხლში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“, მათ შორის სესხად აღებული თანხები, გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდები და სხვა არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება გარიგების დანახარჯები.

„სხვა ფინანსური ვალდებულებების“ შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. თუ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან, შესაბამის შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, თავდაპირველი აღიარებისას არსებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში „წმინდა საპროცენტო შემოსავლის ნაწილი“ ზემოთ.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

როდესაც კომპანია არსებულ კრედიტორთან ერთ სავალო ინსტრუმენტს არსებითად განსხვავებული პირობების ინსტრუმენტში გადაცვლის, ამგვარი გადაცვლა აღირიცხება საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარების სახით. ამის მსგავსად კომპანია აღრიცხავს არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის არსებით მოდიფიცირებას, საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ვალდებულების აღიარების სახით. კეთდება დაშვება, რომ პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ახალი პირობების საფუძველზე ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი საფასურის გამოკლებით განხორციელებული გადახდა და დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებისგან.

3.10 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, მოიცავს ფულს ხელსა და საბანკო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრების ანგარიშების მიზნებისათვის ფულადი ეკვივალენტები არის არა მოთხოვნადი დედუქციები, ასევე მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები რომლებიც ადვილად კონვერტირებადი ფულად სახსრებად და რომლებიც ატარებენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები გამოიყენება უფრო მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ვიდრე ინვესტიციის ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია ინვესტიციას აკლასიფიცირებს როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტს, თუ იგი ადვილად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ რაოდენობაში და აქვს ღირებულების დაკარგვის უმნიშვნელო რისკი.

3.11 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილებას (საკუთარი კაპიტალის, მესაკუთრეთა და ა.შ. ცვლილებების ჩათვლით) ახორციელებენ კომპანიის პარტნიორები.

დაგროვილი მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

კომპანიის მფლობელებთან ყველა გარიგება, როდესაც ისინი მოქმედებენ თავიანთი მფლობელობის სტატუსით, წარმოდგენილია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშში ცალკე.

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულებები იმ პერიოდში, როდესაც მათი განაწილება დამტკიცებულია აქციონერთა ყოველწლიურ საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარებულია გადახდისას.

3.12 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არა სახელშეკრულებო) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, დებიტორული დავალიანების აღიარება აქტივად ხდება მაშინ,

როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.13 უზრუნველყოფა

კომპანია იღებს გირაოს მომხმარებელთა ვალდებულებების მიმართ, სადაც ეს მიზანშეწონილად მიიჩნევა. გირაო ჩვეულებრივ იღებს ყადაღის ფორმას მომხმარებლის აქტივებზე და კომპანიას აძლევს პრეტენზიას ამ აქტივებზე როგორც არსებული, ისე მომავალი მომხმარებლის ვალდებულებებზე.

3.14 გადასახადები

მოგების გადასახადი წლიურ მოგებაზე შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან, მოგების გადასახადი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან რომლებიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი რომელიც გადაიხდება დასაბეგრ შემოსავალზე წელიწადში, გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთებით რომელიც გამოიყენებოდა ბალანსის თარიღისათვის ან ამოქმედდა, და რაიმე შესწორება დაკავშირებული გადასახადელ გადასახადთან წინა წლებთან დაკავშირებით. სათანადო საგადასახადო დელკარაციის წარდგენის შემთხვევაში, დაგადასახადო მოგება ან ზარალი დაფუძნებულია შეფასებაზე. საგადასახადო ორგანოებს შეიძლება ქონდეთ უფრო მკაცრი პოზიცია, გადასახადების ინტერპრეტირების და საგადასახადო გამოთვლების განხილვაში. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ დამატებითი გადასახადები ამ გარიგებებისთვის, რისთვისაც არ მოითხოვდნენ ადრე. შედეგად მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები და ჯარიმები შეიძლება წარმოიშვას. საგადასახადო განცემა შეიძლება მოიცავდეს 3 კალენდარულ წელს დაუყოვნებლივ გადახედვას წლისას. მიმდინარე გარემოებაში საგადასახადო განხილვამ შეიძლება მოიცვას მეტი პერიოდი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გამოითვლება დროებითი განსხვავების ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. დროებითი მოგების გადასახადი უზრუნველყოფილია დროებითი განსხვავებებით, რომლებიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და მათი საბალანსო ღირებულებებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის სხვაობით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მოგების გადასახადი წარმოიქმნება გუდვილის პირველადი აღიარებისთვის ან აქტივის და ვალდებულების გარიგებისთვის როდესაც არ არის საქმიანი კომბინაცია, ტრანზაქციის დროისთვის, გავლენას არ ახდებს ბუღალტრულ მოგებაზე და ასევე საგადასახადო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ იმდენად რამდენადაც სავარაუდოა რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება რომლის დროსაც გამოიყენება დროებითი განსხვავებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები იზომება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ ვრცელდება იმ პერიოდისთვის, როდესაც აქტივი რეალიზებულია ან ვალდებულება გასტუმრებული, საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ბალანსის თარიღისთვის.

გადავადებული გადასახადი წარმოიქმნება დროებითი სხვაობებით რომლებიც გამოწვეულია ინვესტიციებით შვიობილ კომპანიებში, ასოციაციებში და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დროებითი სხვაობა კონტროლდება და სავარაუდოა რომ დროებითი სხვაობა არ შეტრიალდება უახლოეს მომავალში.

ცვლილებები კორპორატიულ მოგების გადასახადში ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან

ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან და საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება კორპორატიული მოგების გადასახადის ახალი მოდებით.

ახალი მოდელი ("კორპორატიული გადასახადების ესტონური მოდელი") გულისხმობს ნულოვანი კორპორატიული საგადასახადო განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15% განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე, წინა საგადასახადო განაკვეთთან შედარებით 15%-ით იზევრებოდა მოგება გადასახადის გადახდამდე, მიუხედავად მოგების განაწილებისა და შენარჩუნებისა. ცვლილებების შედეგად, 2023 წლის 1 იანვრიდან კომპანიები გადაიხდიან კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება განაწილებული აქციონერებზე როგორც დივიდენდები) და ინდივიდუალურ გადარიცხვებზე რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდუალურ შენადანად გაუნაწილებელ მოგებაში (სარგებელი,

საჩუქარი, გადახდები, არასაბაზრო პირობებში ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა.)

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი აღიარებულია დივიდენდების პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, ფაქტობრივი საგადასახადო თარიღის ან დივიდენდების გადანაწილების პერიოდის მიუხედავად. შაგადასახადო განაკვეთი წმინდა განაწილების მოცულობის 15/85.

2023 წელს და შემდგომ გამოცხადებული და გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადიდან, 2022 წლამდე დაგროვილი შემოსავლიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის რომელიც გადახდილია წომა წლების განმავლობაში გაუნაწილებელი მოგებით.

კორპორატიული მოგების გადასახადის შეცვლილი კონცეფციის თანახმად, არ იქნება დროებითი განსხვავებები აქტივების და ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე ღირებულებასა და საგადასახადო ბაზას შორის. ამიტომაც, გადავადებული აქტივები და ვალდებულებები, განსაზღვრული ბასს 12 მოგების გადასახადში, არ არის ჩამოყალიბებული შემდგომში 2023 წლის 1 იანვარს.

3.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (გ) არაფულად გასამრჯელოებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუწარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ანგარიშები ქართულ ლარში	90,667	164,570
საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	136,103	157,520
	<u>226,770</u>	<u>322,090</u>

ბანკებთან არც ერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. მოკლევადიანი ხასიათის გამო ბანკებთან ნაშთებისთვის ზარალის ანაზღაურება არ აღიარდება. საბანკო ნაშთები მოიცავს საქართველოში მოქმედ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებს და გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მიზნით.

იხილეთ შენიშვნა 19.3 იმ ვალუტებისთვის, რომლებშიც ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთებია გამოსახული.

5 კლიენტებზე გაცემული სესხები

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სესხის ძირი	4,087,822	3,486,396
დარიცხული პროცენტი	80,115	86,880
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(414,678)	(368,701)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	3,753,259	3,204,575

ინფორმაცია უზრუნველყოფების შესახებ:

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	127,944	274,988
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	4,039,993	3,298,288
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(414,678)	(368,701)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	3,753,259	3,204,575

სესხები ძირითადად უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით. მენეჯმენტის შეფასებით, გირაოს რეალური ღირებულება, რომელიც შეფასებულია სესხის გაცემის მომენტში, აღემატება შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებას, 2020 და 31 დეკემბრის მდგომარეობით. დაბალი სესხი-ღირებულების თანაფარდობის გამო, მენეჯმენტი არ ელის რომ საბაზრო ფასების შესაძლო უარყოფითმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სესხების ამოღებადობაზე. დასაკუთრებული აქტივები წარმოდგენილია სხვა აქტივებში. იხილეთ შენიშვნა 9.

კლიენტებზე გაცემული სესხები სესხის ტიპის მიხედვით:

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
იპოთეკური სესხი	2,264,153	2,465,876
სამომხმარებლო სესხი	127,944	190,277
განვადება	170,316	231,989
ბიზნეს სესხი	1,605,524	685,134
გამოკლებული: კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი	(414,678)	(368,701)
სულ	3,753,259	3,204,575

მომხმარებლების ყველა სესხი იზომება ამორტიზირებული ღირებულებით. მომხმარებელზე გაცემული სესხები კლასიფიცირდება ფაქტორების კომბინაციის საფუძველზე (ძირითადად მსესხებლის შემოსავლის წყარო და სესხის მიზანი). ინდივიდუალური ბიზნესის მესაკუთრეთა მიერ სამომხმარებლო მიზნებისთვის აღებული სესხები წარმოდგენილია შესაბამის კატეგორიებში მსესხებელთა ბიზნესის საქმიანობის ტიპების მიხედვით.

ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	50,723	108,660	209,318	368,701
გადასვლა ეტაპ 1-ზე	46,720	(46,720)	-	-
გადასვლა ეტაპ 2-ზე	(24,144)	24,144	-	-
გადასვლა ეტაპ 3-ზე	(2,587)	(30,741)	33,328	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშება	15,041	8,548	15,717	39,306
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	41,412	-	-	41,412
გადასვლა ეტაპ 2-ზე	(18,541)	18,541	-	-
გადასვლა ეტაპ 3-ზე	(3,541)	-	3,541	-
ჩამოწერა	-	-	(34,741)	(34,741)
ნაშთი წლის ბოლოს	105,083	82,432	227,163	414,678

ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	77,705	153,410	265,513	496,628
გადასვლა ეტაპ 1-ზე	8,642	(8,642)	-	-
გადასვლა ეტაპ 2-ზე	(13,269)	13,269	-	-
გადასვლა ეტაპ 3-ზე	(1,165)	(31,988)	33,153	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშება	(51,182)	(30,314)	(53,893)	(135,389)
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	43,896	-	-	43,896
გადასვლა ეტაპ 2-ზე	(12,925)	12,925	-	-
გადასვლა ეტაპ 3-ზე	(979)	-	979	-
ჩამოწერა	-	-	(36,434)	(36,434)
ნაშთი წლის ბოლოს	50,723	108,660	209,318	368,701

საანგარიშებო პერიოდებში, რომლებიც დასრულდა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს, კომპანიამ შეცვალა სახელშეკრულებო ფულადი სახსრების გრაფიკები გარკვეულ სესხებზე. ყველა ასეთი სესხი გადავიდა მინიმუმ მე -2 ეტაპზე, ზარალის აღიარებით, რომელიც იზომება სიცოცხლის სრული ციკლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით. ამიტომ, არ არსებობს სესხები შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებით, რომლებიც გადავიდა 1 ეტაპზე მე -2 ეტაპიდან ან მე -3 ეტაპიდან.

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ქართულ ლარში		
ზარალის რეზერვის წმინდა გაანგარიშება	(39,306)	135,389
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	(41,412)	(43,896)
ჩამოწერა	(21,461)	(782)
სულ	(102,179)	90,711

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
<i>იპოთეკური სესხები</i>				
მიმდინარე	1,381,477	577,644	-	1,959,121
1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	58,940	78,343	-	137,283
31-90 დღემდე ვადაგადაცილებული	-	57,860	-	57,860
91-180 დღემდე ვადაგადაცილებული	-	-	55,114	55,114
181 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	-	-	54,775	54,775
სულ	1,440,417	713,847	109,889	2,264,153
ზარალის რეზერვი	(38,296)	(115,274)	(71,696)	(225,266)
საბალანსო ღირებულება	1,402,121	598,573	38,193	2,038,887
<i>ბიზნეს სესხები</i>				
მიმდინარე	1,176,712	174,026	-	1,350,738
1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	171,343	-	-	171,343
31-90 დღემდე ვადაგადაცილებული	-	-	69,026	69,026
91-180 დღემდე ვადაგადაცილებული	-	-	14,417	14,417
სულ	1,348,055	174,026	83,443	1,605,524
ზარალის რეზერვი	(41,053)	(33,382)	(77,330)	(151,765)
საბალანსო ღირებულება	1,307,002	140,644	6,113	1,453,759
<i>სამომხმარებლო სესხები</i>				
მიმდინარე	86,847	-	-	86,847
1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	17,778	-	-	17,778
181 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	-	-	23,319	23,319
სულ	104,625	-	23,319	127,944
ზარალის რეზერვი	(9,547)	(18)	(20,500)	(30,065)
საბალანსო ღირებულება	95,078	(18)	2,819	97,879
<i>განვადება</i>				
მიმდინარე	170,316	-	-	170,316
სულ	170,316	-	-	170,316
ზარალის რეზერვი	(7,582)	-	-	(7,582)
საბალანსო ღირებულება	162,734	-	-	162,734

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
იპოთეკური სესხები				
მიმდინარე	1,504,559	629,109	-	2,133,668
1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	59,648	79,284	-	138,932
31-90 დღემდე ვადაგადაცილებული	-	25,188	-	25,188
91-180 დღემდე ვადაგადაცილებული	-	-	89,047	89,047
181 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	-	-	79,041	79,041
სულ	1,564,207	733,581	168,088	2,465,876
ზარალის რეზერვი	(32,654)	(98,291)	(61,132)	(192,077)
საბალანსო ღირებულება	1,531,553	635,290	106,956	2,273,799
ბიზნეს სესხები				
მიმდინარე	528,518	78,162	-	606,680
1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	13,738	-	-	13,738
91-180 დღემდე ვადაგადაცილებული	-	-	64,716	64,716
სულ	542,256	78,162	64,716	685,134
ზარალის რეზერვი	(12,609)	(10,253)	(23,751)	(46,613)
საბალანსო ღირებულება	529,647	67,909	40,965	638,521
სამომხმარებლო სესხები				
მიმდინარე	19,565	170	-	19,735
1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	1,642	-	-	1,642
31-90 დღემდე ვადაგადაცილებული	-	148	-	148
91-180 დღემდე ვადაგადაცილებული	-	-	3,042	3,042
181 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	-	-	165,710	165,710
სულ	21,207	318	168,752	190,277
ზარალის რეზერვი	(1,099)	(115)	(124,461)	(125,675)
საბალანსო ღირებულება	20,108	203	44,291	64,602
განვადება				
მიმდინარე	231,989	-	-	231,989
სულ	231,989	-	-	231,989
ზარალის რეზერვი	(4,336)	-	-	(4,336)
საბალანსო ღირებულება	227,653	-	-	227,653

6 აქტივების გამოყენების უფლება

ქართული ლარი

	საოფისე ფართი
2019 წლის 1 იანვარი	192,079
ცვეთა	(124,519)
2019 წლის 31 დეკემბერი	67,560
შემოსვლა	124,342
გასვლა	(67,560)
ცვეთა	(69,667)
2020 წლის 31 დეკემბერი	54,675

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართები ფილიალებისთვის და სათაო ოფისისთვის. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში. ამორტიზაციის ხარჯი მთლიანად დაერიცხა სხვა ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებს (იხ. შენიშვნა 16).

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები 2019 წლის 1 იანვრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების უფლებით	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი
სათაო ოფისისა და ფილიალების იჯარა	-	3-12 თვე	12-24 თვე	8.23%

7 ძირითადი საშუალებები

ქართულ ლარში

	კომპიუტერები	ავეჯი	სხვა	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>				
2019 წლის 1 იანვარი	49,759	87,048	23,855	160,662
შემოსვლა	293	32	-	325
2019 წლის 31 დეკემბერი	50,052	87,080	23,855	160,987
შემოსვლა	2,448	1,050	520	4,018
2020 წლის 31 დეკემბერი	52,500	88,130	24,375	165,005
<i>დაგროვილი ცვეთა</i>				
2019 წლის 1 იანვარი	31,145	48,946	18,997	99,088
ცვეთის ხარჯი	6,806	17,936	3,345	28,087
2019 წლის 31 დეკემბერი	37,951	66,882	22,342	127,175
ცვეთის ხარჯი	6,611	9,812	2,033	18,456
2020 წლის 31 დეკემბერი	44,562	76,694	24,375	145,631
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>				
2019 წლის 31 დეკემბერი	12,101	20,198	1,513	33,812
2020 წლის 31 დეკემბერი	7,938	11,436	-	19,374

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის არცერთი ქონება და მოწყობილობა არ იქნა ჩადებული გირაოში რაიმე ვალდებულებისათვის. ცვეთის ხარჯი მთლიანად დაერიცხა სხვა ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებს (იხ. შენიშვნა 16).

8 არამატერიალური აქტივები

ქართულ ლარში

	პროგრამა	ვებ-გვერდი	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>			
2019 წლის 1 იანვარი	49,562	33,714	83,276
შემოსვლა	-	3,500	3,500
2019 წლის 31 დეკემბერი	49,562	37,214	86,776
შემოსვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	49,562	37,214	86,776
<i>დაგროვილი ცვეთა</i>			
2019 წლის 1 იანვარი	25,588	7,662	33,250
ცვეთის ხარჯი	4,796	5,210	10,006
2019 წლის 31 დეკემბერი	30,384	12,872	43,256
ცვეთის ხარჯი	5,565	5,140	10,705
2020 წლის 31 დეკემბერი	35,949	18,012	53,961
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>			
2019 წლის 31 დეკემბერი	19,178	24,342	43,520
2020 წლის 31 დეკემბერი	13,613	19,202	32,815

ამორტიზაციის ხარჯი მთლიანად დაერიცხა სხვა ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებს (იხ. შენიშვნა 16).

9 ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

შვილობილ კომპანიაში ინვესტიცია წარმოადგენს შპს კაპიტალ ინვესტის 100% -იან წილს. პარტნიორების გადაწყვეტილებით, 2020 წლის 3 თებერვლს, შპს მისო კაპიტალ ექსპრესმა შპს „კაპიტალ ინვესტის“ 100% -იანი წილი თამარ შარიქაძეს 227 941 ლარად მიყიდა, რაც უდრის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას, ამიტომ ამ ოპერაციისაგან მოგება ან ზარალი არ წარმოშობილა.

10 სხვა აქტივები

ქართულ ლარში

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დასაკუთრებული აქტივები	222,329	85,471
სხვა	3,276	5,060
	225,605	90,531

დასაკუთრებული აქტივები არის არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის მხრიდან ექსპროპრიირებულ იქნა ვადაგადაცილებული სესხების დასაფარად. ეს აქტივები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომ იზომება კლასიფიკაციის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა ხდება ისტორიული და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შორის უმცირესით. კომპანია მომავალში ამ აქტივების გაყიდვას ელის. ჩამორთმეული აქტივები გაიყიდება რაც შეიძლება მალე, ხოლო მიღებული თანხა მოხმარდება სესხის ძირის შემცირებას.

11 მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე მოგების გადასახადი	72,167	22,233
დროებითი სხვაობების ეფექტი	(43,345)	75,870
	<u>28,822</u>	<u>98,103</u>

რეკონსილაცია ფაქტიურ და მოსალოდნელ მოგების გადასახადს შორის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მოგება დაბეგვრამდე	359,369	542,639
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	53,905	81,396
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(25,083)	16,707
მოგების გადასახადის ხარჯი	<u>28,822</u>	<u>98,103</u>

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტი აღრიცხული 15%-ანი განაკვეთით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	2019 წლის 1 იანვარი	აღიარებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	2019 წლის 31 დეკემბერი	აღიარებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	2020 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(2,957)	3,317	360	1,208	1,568
გაცემული სესხები	92,988	(66,638)	26,350	39,773	65,954
მიღებული სესხები	10,354	(13,741)	(3,387)	3,387	-
აქტივის გამოყენების უფლება	-	(10,134)	(10,134)	(8,201)	(18,335)
საიჯარო ვალდებულება	-	11,326	11,326	7,178	18,504
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	<u>100,385</u>	<u>(75,870)</u>	<u>24,515</u>	<u>43,345</u>	<u>67,691</u>

12 მიღებული სესხები

მიღებული სესხების კლასიფიცირება მოკლევადიან და გრძელვადიან ნაწილებად:

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ნაწილი მიღებულ სესხებში	1,160,562	1,114,658
მოკლევადიანი ნაწილი მიღებულ სესხებში	531,984	248,547
	1,692,546	1,363,205

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივი ბანკებისგან	602,773	1,114,658
ფიზიკური პირებისგან	-	248,547
სუბორდინირებული სესხი*	1,089,773	-
	1,692,546	1,363,205

*სუბორდინირებული სესხი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებული ვალი არის სესხი უზრუნველყოფის გარეშე, რომელიც მიღებულია კომპანიის 100% წილის მფლობელისაგან, - მაკა გოცირიძისგან. დაფარვის ვადა 2025 წელი, წლიური საპროცენტო განაკვეთით 14%.

გაკოტრების შემთხვევაში სუბორდინირებული ნასესხები სახსრების დაფარვა განხორციელდება კომპანიის ყველა სხვა ვალდებულების სრულად დაფარვის შემდეგ. კომერციული ბანკებიდან ნასესხები სახსრების წლიური საპროცენტო განაკვეთი 14%, ხოლო ფიზიკური პირებისგან ნასესხები სახსრებისთვის 14.5%, რაც მოცემული პერიოდის საბაზრო განაკვეთების ეკვივალენტურია.

მიღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი კომპანიის რაიმე აქტივით და სესხის ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს რაიმე სახის კოვენანტებს, მაგალითად, ფინანსური კოეფიციენტების გარკვეულ მაჩვენებლებს.

ფულადი და არაფულადი ცვლილებები სესხებში, ფინანსური საქმიანობის შედეგად, შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საწყისი ნაშთი	1,363,205	2,543,163
ფულადი ნაკადები	220,202	(1,212,774)
არაფულადი ნაკადები		
პროცენტის დარიცხვა	39,632	3,226
საკურსო სხვაობა	69,507	29,590
საბოლოო ნაშთი	1,692,546	1,363,205

ქვემოთ მოცემულია სესხების შესახებ ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ტრანში	ძირითადი		მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	ხელშეკრულებითი განაკვეთი(%)		2020 წლის 31 დეკემბერი	
	ორიგინალ ვალუტაში	ორიგინალ ვალუტა			წლიური	წლიური	ძირითადი	დარიცხული პროცენტი
Secured borrowings from Commercial Bank								
MFO Bani Credit	75,000	GEL	27-May-20	27-May-25	14%	15.12%	75,000	283
Basis Bank	1,597,660	GEL	25-Mar-20	07-Dec-21	15%	15%	525,660	1,975
Subordinated loans								
Maka Gotsiridze	1,085,550	GEL	7-Feb-20	1-Oct-30	14%	14.93%	1,085,550	4,078
							1,686,210	6,336

							2019 წლის 31	
	ძირითადი:				ხელშეკრულების	ეფექტური	დეკემბერი	
ტრანში	ორიგინალი	ორიგინალი	მიღების	დაფარვის	განაკვეთი(%)	განაკვეთი%	დარიცხული	
	ვალუტაში	ვალუტა	თარიღი	თარიღი	წლიური	წლიური	ძირითადი	პროცენტი
Secured borrowings from Commercial Bank								
Halyk Bank	1,245,000	GEL	17-Jun-19	17-Jun-22	12%	13%	1,109,410	23,121
Borrowings from related party								
Manana Kiknadze	78,797	USD	19-Feb-19	19-Feb-20	12%	12%	225,966	4,708
							1,335,376	27,829

შენიშვნა 19.3 -ში იხილეთ უცხოური ვალუტის რისკებზე კომპანიის ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

13 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი	41,527	75,505
გრძელვადიანი	6,328	-
	<u>47,855</u>	<u>75,505</u>

კომპანიას აქვს იჯარით აღებული საოფისე სივრცე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე, ან განაკვეთზე (როგორცაა კომპანიის გაყიდვების პროცენტზე დამოკიდებული საიჯარო გადახდები) არ ჩაერთვება საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველი შეფასების განსაზღვრაში. კომპანია ახდენს თავისი აქტივების გამოყენების უფლების კლასიფიკაციას ძირითადი საშუალებების მსგავსად (იხ. შენიშვნა 4).

ჩვეულებრივ, ყველა საიჯარო ხელშეკრულება ზღუდავს საიჯარო ფართის ქვეიჯარით გაცემის შესაძლებლობას, თუკი არ არის კონკრეტულად ჩანაწერი რომ კომპანიის შეუძლია ფართის გაცემა ქვეიჯარით. იჯარის ხელშეკრულებები არის ან შეწყვეტის უფლების გარეშე, ან შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი ჯარიმის გადახდით. ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულება შეიცავს აქტივის შეძენის უფლებას იჯარის პერიოდის ბოლოს, ან იჯარის ვადის გაგრძელების უფლებას. კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს იჯარით აღებული ქონება კარგ სარემონტო მდგომარეობაში და დააბრუნოს იგი თავდაპირველ მდგომარეობაში იჯარის ბოლოს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივობების ბუნებას, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენი- ლი იჯარის ვადა	იჯარის რაოდენობა ვადის გაგრძე- ლების უფლებით	იჯარის რაოდენო- ბა შეძენის უფლებით	იჯარის რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
საოფისე ფართი	3	11-23 თვე	1 წელი	3	-	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

In Georgian lari	Minimum lease payments	
	As of 31 December 2020	As of 31 December 2019
ერთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	44,906	78,259
ფინანსური ხარჯები	(3,301)	(2,754)
	41,605	75,505
2-5 წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	6,327	-
ფინანსური ხარჯები	(77)	-
	6,250	-
წმინდა ღირებულება	47,855	75,505

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი (იჯარა თორმეტი თვის, ან უფრო ნაკლები პერიოდის ხანგრძლივობით), ასევე დაბალი ღირებულების მქონე აქტივებისთვის. ამგვარ იჯარებზე გაწეული გადახდები ხარჯებში ხვდება წრფივი მეთოდით. ამასთან, გარკვეული ცვლადი საიჯარო გადახდების აღიარება საიჯარო ვალდებულებით დაუშვებელია, და ისინი გაწევისთანავე აღიარდებიან ხარჯად.

გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულების გაანგარიშებაში, შემდეგნაირია:

ქართულ ლარში

	2020	2019
მოკლევადიანი იჯარები	3,435	21,451

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც რომლებიც ხარჯად აღიარდა იმის საფუძველზე, რომ ისინი არ არიან აღიარებული როგორც საიჯარო ვალდებულება, მოიცავს საიჯარო გადახდებს, რომლებიც ეფუძნება ძირითადი აქტივის გამოყენებიდან მიღებული შემოსავლისა და საოფისე ტექნიკის გამოყენების ხარჯებს. ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა ეს ხარჯი გაიწია. (იხ. შენიშვნა 16).

14 კაპიტალი

2020 წლის 16 მარტს მოხდა ცვლილება დამფუძნებელთა სიაში და კომპანიის 100 % იანი წილის მფლობელი გახდა მაკა გოცირიძე.

მფლობელი	წილი %	2020 წლის 31	წილი %	2019 წლის 31
		დეკემბერი		დეკემბერი
ვლადიმერ შარიქაძე	-	-	30	456,882
თამარ შარიქაძე	-	-	30	456,882
ნინო შარიქაძე	-	-	30	456,882
ვახტანგ გოციელი	-	-	10	152,294
მაკა გოცირიძე	100	1,522,940	-	-

პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე 399,240 და 1,166,083 ლარის ოდენობის დივიდენდები გამოცხადდა და გაიცა 2020 და 2019 წლებში.

15 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

ქართულ ლარში

საპროცენტო შემოსავლები:

კლიენტებზე გაცემული სესხებიდან

საბანო დეპოზიტებიდან

სულ საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ხარჯები:

მიღებულ სესხებზე

სალიზინგო ვალდებულებებზე

სულ საპროცენტო ხარჯები

წმინდა საპროცენტო შემოსავალი

2020 წლის 31
დეკემბერი

2019 წლის 31
დეკემბერი

969,296

1,155,187

-

7,520

969,296

1,162,707

(207,597)

(207,436)

(6,096)

(11,517)

(213,693)

(218,953)

755,603

943,754

კომპანიას ჰქონდა ვადიანი დეპოზიტი ჰქონდა, რომელზეც დაერიცხა საპროცენტო შემოსავალი 2019 წელს. კომპანიას ასეთი დეპოზიტი არ ჰქონია 2020 წელს.

16 საკომისიო და სხვა შემოსავალი

ქართულ ლარში

2020 წლის 31
დეკემბერი

2019 წლის 31
დეკემბერი

ჯარიმები

129,317

179,041

დასაკუთრებული ქონებიდან მიღებული მოგება

14,570

39,011

ადრე დაფარვის საკომისიო

39,121

34,689

183,008

252,741

17 სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები

ქართულ ლარში

2020 წლის 31
დეკემბერი

2019 წლის 31
დეკემბერი

თანამშრომელთა ანაზღაურება

312,786

380,800

აქტივის ფლობის უფლების ცვეთა

69,667

124,519

საკონსულტაციო ხარჯები

35,400

59,677

ცვეთა და ამორტიზაცია

12,176

38,093

კრედიტინფოს მომსახურება

24,737

27,540

საიჯარო ხარჯი

3,435

21,451

საკომისიო ხარჯი

25,183

17,013

დაზღვევის ხარჯი

18,141

15,003

წევრობის საკომისიოები

8,479

-

კომპიუტერების მომსახურების ხარჯი

16,249

14,899

სხვა ხარჯები

39,508

26,560

565,761

725,555

18 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში.

18.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

იმ ბიზნეს მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც აქტივების ფლობა ხდება და შეფასება იმისა, ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ერთპიროვნულად წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ ინფორმაცია 3.9 შენიშვნაშია მოცემული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებზე:

- პროგრესული სცენარების განსაზღვრა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას კომპანია იყენებს გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა ეკონომიკური დრაივერების მომავალ მოძრაობასთან დაკავშირებულ დაშვებებს და ამ დრაივერების ერთმანეთზე მოქმედების წესს.
- მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში: როგორც შენიშვნა 3.9 -შია განმარტებული, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობით 1- ლი დონის აქტივებისთვის, ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ოდენობით - მე- 2 და მე-3 დონის აქტივებისთვის. აქტივი მე-2 დონეში გადადის, როდესაც მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ფასს (IFRS) 9 არ განსაზღვრავს რას ნიშნავს მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში. იმის შეფასებისას, აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, კომპანია ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციას.
- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ მნიშვნელოვან შემავალ ინფორმაციას. დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება, რომლის დაანგარიშება მოიცავს განვლილ მონაცემებს, დაშვებებს და მომავალი ვითარებების მოლოდინებს.
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD): LGD არის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგის შეფასება. ის ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, უზრუნველყოფის საგნიდან და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;

- ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჩგუფი წარმოადგენს მოიჯარეს

ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

გირაოში ჩადებული ქონების შეფასება

მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს გირაოს საბაზრო ღირებულებას. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას მისი რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. გირაოს ოდენობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

18.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ფუნქციონირებადობის შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

COVID-19

ზოგადად, გაურკვევლობაა მომავალში COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით, მაგრამ ინდუსტრიის გამო, რომელშიც კომპანია მუშაობს და 2021 წლის მარტიდან ვაქცინაციის პროცესში გაუმჯობესების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არანაირი რისკი არ არსებობს იმ დონის, რამაც მომავალში შესაძლოა გამოიწვიოს საოპერაციო საქმიანობის მნიშვნელოვანი ჩავარდნა/კლება. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ COVID-19 სპრედი შენარჩუნდება მისაღებ დონეზე და საქართველოში და მთლიანი ეკონომიკური აქტივობა კრიზისამდელ დონეზე დაბრუნდება გონივრულად მოკლე დროში.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ კომპანიას შეუძლია სტაბილურად განაგრძოს ნორმალური საქმიანობა და ამ მხრივ მნიშვნელოვანი გაურკვევლობები არ არსებობს. შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაფუძნებით.

19 ფინანსური ინსტრუმენტები

19.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.9-ში.

19.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შენიშვნა 3.9 -ში განმარტებულია თითოეული კატეგორია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფული და ფულის ეკვივალენტები	226,770	322,090
ინვესტიციები მუდმივმოქმედ საწარმოებში	-	227,941
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,753,259	3,204,575
სულ ფინანსური აქტივები	3,980,029	3,754,606

ფინანსური ვალდებულებები

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხები	1,692,546	1,363,205
საიჯარო ვალდებულებები	47,855	75,505
სხვა ვალდებულებები	75,464	14,816
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,815,865	1,453,526

20 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა მას სხვადასხვა ფინანსური რისკის წინაშე აყენებს და ეს საქმიანობა მოიცავს რისკის გარკვეულწილად ანალიზს, შეფასებას, მიღებას და მართვას ან რისკების კომბინაციას.

რისკის მართვა ხორციელდება მუდმივი იდენტიფიკაციის, გაზომვისა და მონიტორინგის პროცესში, რისკის შეზღუდვები და სხვა კონტროლი ხორციელდება. რისკის მართვის ეს პროცესი გადამწყვეტია კომპანიის მუდმივი მომგებიანობისთვის და კომპანიის თითოეულმა პირმა აგებს პასუხს მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი: - სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო გენერალურ დირექტორთან პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებასა და კონტროლზე; კომპანიის მცირე ზომის გამო, აღარ არსებობს ცალკე კომიტეტები, ყველა რისკს და პროცესს აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც შედგება: ფინანსური დირექტორი, ოპერაციული დირექტორი, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი.

20.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიკრო საფინანსო ჯგუფის რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანია საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს საკრედიტო კომიტეტს, რომელიც აქტიურ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

კომპანია რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო დეპარტამენტის მიერ. ჯგუფი სესხებს საკრედიტო რეიტინგებს არ ანიჭებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

ფინანსური აქტივები

ქართულ ლარში

ფული და ფულის ეკვივალენტები	226,770	322,090
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	227,941
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,753,259	3,204,575
სულ ფინანსური აქტივები	3,980,029	3,754,606

2020 წლის 31
დეკემბერი

2019 წლის 31
დეკემბერი

226,770

322,090

-

227,941

3,753,259

3,204,575

3,980,029

3,754,606

20.2 ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით კომპანია ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში. ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია ეფუძნება კომპანიის ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ქართული ლარი	3 თვემდე	3 თვიდან 6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
მიღებული სესხები	56,022	66,323	834,626	835,302	1,668,478	3,460,751
საიჯარო ვალდებულებები	12,533	12,231	23,519	5,267	-	53,550
სხვა ვალდებულებები	-	-	75,464	-	-	75,464
	<u>68,555</u>	<u>78,554</u>	<u>933,609</u>	<u>840,569</u>	<u>1,668,478</u>	<u>3,589,765</u>
ნეტო პოზიცია	<u>812,686</u>	<u>343,598</u>	<u>(46,988)</u>	<u>1,374,908</u>	<u>(1,668,478)</u>	<u>815,726</u>

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ქართული ლარი	3 თვემდე	3 თვიდან 6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	377,672	210,411	176,963	774,748	1,539,794
საიჯარო ვალდებულებები	35,703	15,041	27,544	-	78,288
სხვა ვალდებულებები	-	-	14,816	-	14,816
	<u>413,375</u>	<u>225,452</u>	<u>219,323</u>	<u>774,748</u>	<u>1,632,898</u>
ნეტო პოზიცია	<u>483,296</u>	<u>173,289</u>	<u>538,662</u>	<u>1,040,729</u>	<u>2,235,976</u>

20.3 საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროსო სხვაობების რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკუროსო სხვაობები კომპანიას წარმოუქმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში. კომპანიას ასევე აქვს სესხები დოლარში, საკუთარი ოპერაციების დასაფინანსებლად.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკუროსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ:

2020 წლის 31 დეკემბერი	GEL	USD	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	90,667	136,103	226,770
გაცემული სესხები	3,405,507	347,752	3,753,259
სულ ფინანსური აქტივები	<u>3,496,174</u>	<u>483,855</u>	<u>3,980,029</u>
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	1,692,546	-	1,692,546
საიჯარო ვალდებულებები	-	47,855	47,855
სხვა ვალდებულებები	75,464	-	75,464
სულ ფინანსური ვალდებულებები	<u>1,768,010</u>	<u>47,855</u>	<u>1,815,865</u>
ნეტო პოზიცია	<u>1,728,164</u>	<u>436,000</u>	<u>2,164,164</u>

Item			
As of 31 December 2019	GEL	USD	Total
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	164,737	157,520	322,257
გაცემული სესხები	2,709,053	495,522	3,204,575
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	227,941	-	227,941
სულ ფინანსური აქტივები	3,101,731	653,042	3,754,773
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	1,114,657	248,548	1,363,205
საიჯარო ვალდებულებები	-	75,505	75,505
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,114,657	324,053	1,438,710
ნეტო პოზიცია	1,987,074	328,989	2,316,063

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 20%-იანი (2019: 20%) მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 20% (2019: 20%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და წლის ბოლოს აკორექტირებს მათ 20%-იანი (2019: 20%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარის, ევროს და ფუნტის მიმართებაში 20%-ით (2019: 20%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ქართულ ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ზარალი (თუ ლარი გამყარდა 20%-ით)	(87,200)	(65,798)
მოგება (თუ ლარი შესუსტდა 20%-ით)	87,200	65,798

ზემოთ მოყვანილი ანალიზი ითვლება კომპანიის სავალუტო რისკის ზემოქმედების წარმოსადგენად და ითვალისწინებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

20.4 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ხდება ძირითადად საპროცენტო განაკვეთის ხარვეზების მონიტორინგის საშუალებით.

საპროცენტო პოზიციის გეფის ანალიზი წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთის მიღების თარიღის ან ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის თარიღის მიხედვით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართული ლარი	3 თვიდან 3 თვემდე	6 თვიდან 6 თვემდე	1 წლიდან 1 წლამდე	5 წელზე 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ურპოცენტო
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	-	-	-	-	226,770
გაცემული სესხები	654,471	422,152	886,621	2,215,477	-	-
	654,471	422,152	886,621	2,215,477	-	226,770

ვალდებულებები

მიღებული სესხები	45,752	300,189	225,471	175,000	1,185,552	-
საიჯარო ვალდებულებები	12,879	17,434	16,245	5,190	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-	-	-	75,464
	<u>58,631</u>	<u>317,623</u>	<u>241,716</u>	<u>180,190</u>	<u>1,185,552</u>	<u>75,464</u>
საპროცენტო მგრძნობელობის შუალედი	595,840	104,529	644,905	2,035,287	(1,185,552)	151,306

საპროცენტო პოზიციის გეგმის ანალიზი წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთის მიღების თარიღის ან ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის თარიღის მიხედვით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართული ლარი	3 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უპროცენტო
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	-	-	-	-	322,090
გაცემული სესხები	<u>574,581</u>	<u>398,741</u>	<u>757,985</u>	<u>1,815,477</u>	-	-
	<u>574,581</u>	<u>398,741</u>	<u>757,985</u>	<u>1,815,477</u>	-	<u>322,090</u>

ვალდებულებები

მიღებული სესხები	377,672	210,411	176,963	774,748	-	-
საიჯარო ვალდებულებები	35,703	15,041	27,544	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-	-	-	14,816
	<u>413,375</u>	<u>225,452</u>	<u>204,507</u>	<u>774,748</u>	-	<u>14,816</u>
საპროცენტო მგრძნობელობის შუალედი	161,206	173,289	553,478	1,040,729	-	307,274

20.5 რისკების კონტროლი და პოლიტიკა

კომპანია მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, სადაც იდენტიფიცირებულია კონკრეტული, ინდივიდუალური პასუხისმგებელი მხარეები და ჯგუფები.

კომპანიის საკრედიტო რისკებს დონეების მიხედვით აწესებს. კომპანიას აქვს შეზღუდვები რისკის მოცულობაზე, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ერთ მსესხებელთან მიმართებით ან მსესხებლების ჯგუფთან. ასეთი რისკები კონტროლდება და ექვემდებარება ხშირ განხილვას, საჭიროების შემთხვევაში წელიწადში რამოდენიმეჯერ. შეზღუდვები საკრედიტო რისკის დონეზე პროდუქტების მიხედვით იმართება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

უზრუნველყოფა

კომპანია იყენებს პოლიტიკისა და პრაქტიკების ვარიაციებს საკრედიტო რისკის შესამცირებლად. მათგან ყველაზე ხშირად გამოყენებადი უზრუნველყოფების მიღებაა სესხებისათვის. კომპანია ნერგავს სახელმძღვანელო პრინციპებს კონკრეტული კატეგორიის გირაოს ან საკრედიტო რისკის შესარბილებლად. სესხების უზრუნველყოფის ძირითადი ტიპია უძრავი ქონება.

კომპანია მოითხოვს დამატებითი გირაოს პასუხისმგებელი მხარეებისგან, როგორც გაუფასურების ინდიკატორი შესაბამის ინდივიდუალურ სესხებზე და ავანსებზე.

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	127,944	274,988
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	4,039,993	3,298,288
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	<u>(414,678)</u>	<u>(368,701)</u>
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>3,753,259</u>	<u>3,204,575</u>

ზემოთ მოცემულ ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს სესხის საბალანსო ღირებულებას და სულაც არ წარმოადგენს გირაოს სამართლიან ღირებულებას. გირაოს საბაზრო ღირებულების შეფასება ხდება

შეფასების აქტების საფუძველზე, სესხის გაცემის დროს. საერთოდ, ისინი არ ექვემდებარებიან განახლებას, თუ სესხი ინდივიდუალურად გაუფასურებული არ არის.

20.6 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი, წარმოადგენს პირდაპირი ან ირიბი დანაკარგების რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ფინანსური ინსტრუმენტებისგან, მიმდინარე პროცესებისგან, კომპანიის პერსონალისგან, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული პრობლემებისგან. ოპერაციული რისკი ასევე მოიცავს გარე ფაქტორებსაც, როგორიცაა საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და კანონმდებლობის ცვლილებისგან გამოწვეული რისკები.

რეპუტაციის შესანარჩუნებლად და შესაბამისად ფინანსური ეფექტურობის მისაღწევად კომპანიის მიზანს წარმოადგენს ოპერაციული რისკების იმგვარი მართვა, რომ მოხდეს ფინანსური დანაკარგებისა და ზიანის თავიდან აცილების დაბალანსება, რომელიც დააზიანებს კომპანიის რეპუტაციას და მთლიანი ხარჯების ეფექტურობას.

საოპერაციო რისკის შემუშავებასა და კონტროლის განხორციელებაზე ძირითადად პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორი. ეს პასუხისმგებლობა გულისხმობს რისკების კონტროლს და დაგეგმვას შემდეგნაირად

- ვალდებულებების შესაბამისი გადანაწილების მოთხოვნა, მათ შორის ოპერაციების ავტორიზაცია;
- ოპერაციების მონიტორინგი და მათი შესაბამისობა;
- კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული მოთხოვნების შესრულება, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა კონტროლის სისტემის მინიმალური მოთხოვნების დაცვა;
- პროცედურებისა და კონტროლის დოკუმენტირება;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასებისას გამოვლენილ რისკებზე ადეკვატური კონტროლისა და პროცედურების ჩატარების მოთხოვნა;
- ოპერაციული დანაკარგების აღრიცხვისა და მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო ზომების მოთხოვნა;
- გეგმის შემუშავება გაუთვალისწინებელი გარემოებებისათვის;
- პერსონალის განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- საქმიანი და ეთიკური სტანდარტები, და
- რისკების შემცირება.

21 კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნებისას კომპანიის მიზნებია:

- უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, ისეთი ფორმით, რომ მან გააგრძელოს აქციონერებისთვის უკუგების შექმნა; და
- აქციონერებისთვის ადეკვატური ამონაგების უზრუნველყოფა რისკის დონის შესაბამისი ფასწარმოქმნის მომსახურებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის რაოდენობას, რომელსაც ის რისკის პროპორციულად მოითხოვს. კომპანია თავის კაპიტალის სტრუქტურას მართავს და მასში კორექტირებები შეაქვს ეკონომიკური პირობების ცვლილების და საბაზისო აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს. გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანია შეესაბამება მინიმალური საზედამხებდევლო კაპიტალის მოთხოვნებს - კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000 ათას ლარზე ნაკლები (2018 წ.: 500 ათასი ლარი).

2018 წლის 1 სექტემბერიდან კომპანიას ასევე ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური მოთხოვნები, როგორც არის: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდურობა, ქონებრივი ინვესტიცია, ინვესტიცია, დაკავშირებული მხარის ზემოქმედება და დაგირავებული აქტივების კოეფიციენტები. შესაბამისობა ამ კოეფიციენტებთან ყოველთვიურად კონტროლირდება სებ-ის მიერ. სებ-ის რეგულაციების შესაბამისად, კომპანია

ვალდებულია იქონიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მინიმალური დონე ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

- 2018 წლის 1 სექტემბერი - 2018 წლის 31 დეკემბერი: სულ მცირე 16%
- 2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 30 ივნისი: 16-18%
- 2019 წლის 1 ივლისის შემდეგ - სულ მცირე 18%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტთან შესაბამისობა 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საწესდებო კაპიტალი	1,522,940	1,522,940
გაუნაწილებელი მოგება	1,041,384	1,110,077
სუბორდინირებული სესხი	1,089,773	-
საზედამხედველო კაპიტალი შემცირებამდე	3,654,097	2,633,017
<i>გამოკლებული</i>		
არამატერიალური აქტივები	(32,815)	(43,520)
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	(227,941)
საზედამხედველო კაპიტალი	3,621,282	2,361,556
სულ აქტივები შემცირებამდე	4,380,189	4,086,543
<i>გამოკლებული</i>		
არამატერიალური აქტივები	(32,815)	(43,520)
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	(227,941)
მთლიანი აქტივები შემცირების შემდეგ	4,347,374	3,815,082
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	83%	62%

22 სამართლიანი ღირებულების იერარქია

ქვემოთ წარმოდგენილი იერარქია აჯგუფებს ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ პირველად მონაცემებს სამი დონის მიხედვით:

- დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იმ აქტიურ ბაზრებზე, სადაც კომპანიას აქვს წვდომა ბალანსის თარიღისთვის.
- დონე 2: ისეთი პირველადი ინფორმაცია აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია, გარდა იმ კოტირებული ფასებისა, რომლებიც შედის დონე 1-ში.
- დონე 3: ისეთი პირველადი ინფორმაცია აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელიც ღიად ხელმისაწვდომი (დაკვირვებადი) არ არის.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც მუდმივად არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით (თუმცა მოთხოვნილია განმარტებითი შენიშვნები სამართლიანი ღირებულების შესახებ).

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებსაც მოკლევადიანი დაფარვის ვადა აქვთ (3 თვეზე ნაკლები), ნავარაუდევია, რომ მათი საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას უახლოვდება. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე ანაზრებს და მიმდინარე ანგარიშებს, დაფარვის ვადის გარეშე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უმეტესად მოიცავს მოკლევადიან დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, შესაბამისად საბალანსო ღირებულება მიიჩნევა მათი სამართლიანი ღირებულების გონივრულ შეფასებად.

კლიენტებზე გაცემული სესხები

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მოსალოდნელი მისაღები საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის დაფარვის ვადაზე და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

სუბორდინირებული სესხის და სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული ფასების მოდელის შესაბამისად დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ცვლადი განაკვეთით სესხების მიღება შესაძლოა ჩაითვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაფუძნებულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებაზე. დისკონტის განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტების ვალუტასა და ვადაზე. ამ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ქვედა ცხრილი ასახავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო და სამართლიან ღირებულებას:

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი			2019 წლის 31 დეკემბერი	
	სამართლიანი ღირებულების იერარქია	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფულადი სახსრები	დონე 1	226,770	226,770	322,090	322,090
გაცემული სესხები	დონე 3	3,753,259	3,781,430	3,204,575	3,204,575
მიღებული სესხები	დონე 3	1,692,546	1,692,546	1,363,205	1,363,205
საიჯარო ვალდებულებები	დონე 3	47,855	47,855	75,505	75,505
სხვა ვალდებულებები	დონე 3	75,464	75,464	14,816	14,816

23 პირობითი მოვლენები

23.1 ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა, რომელიც ჩინეთში 2019 წლის დეკემბერში გავრცელდა. კორონავირუსმა უკვე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე.

მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღეს გარკვეული ზომები ეკონომიკაში კორონავირუსის გავლენის შესამსუბუქებლად. ეს ღონისძიებები, სხვა ზომებთან ერთად, მოიცავს, სესხების სუბსიდირებას პანდემიით დაზარალებული ინდუსტრიებისთვის და საშვებულებო ანაზღაურებებს.

კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდობის მდგომარეობა, საკმარისია კომპანიის მდგრადი ფუნქციონირებისთვის. იგი რეგულარულად აკონტროლებს თავის ლიკვიდურობას და საჭიროების შემთხვევაში აპირებს გამოიყენოს, ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, შესაბამისი ინსტრუმენტები.

ამ მოვლენებმა, შემდგომი, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. სამომავლო ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინისგან.

ეს ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ზემოაღნიშნულის პოტენციურ გავლენას კომპანიის საქმიანობაზე. (იხ. შენიშვნა 17.2).

23.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ორგანოს მიერ გადმოცემული განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხოვნონ ჯარიმები და საურავები.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

24 ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე:

დივიდენდები

2021 წლის 26 იანვარს და 2021 წლის 20 აპრილს, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, მაკა გოცირიძეზე გაიცა დივიდენდი შესაბამისად - 54,337 და 62,526 ლარის ოდენობებით.

მიღებული სესხები

2021 წლის 12 აპრილს კომპანიამ სრულად დაფარა ბანკიკრედიტის მიმართ არსებული სასესხო ვალდებულება, რომლის მოცულობამ გადახდის თარიღისთვის 101 528 ლარი შეადგინა.

25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები მოიცავს მის მესაკუთრეებს, საწარმოებს საერთო კონტროლის ქვეშ და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

25.1 მაკონტროლებელი მხარეები

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და მაკონტროლებელი მხარეა მაკა გოცირიძე.

25.2 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არ განხორციელებია ოპერაციები და საანგარიშგებო პერიოდისთვის არ ჰქონია საბალანსო ნაშთები.

ქართული ლარი ოპერაციები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<i>მფლობელები</i>		
მიღებული სესხები	1,085,552	-
მიღებული სესხების დაფარვები	129,347	-
საპროცენტო ხარჯები	136,571	-
საიჯარო ვალდებულების გადახდა	11,924	-
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ხარჯი	2,304	-
გადახდილი დივიდენდები	399,240	1,166,083
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები*</i>		
მიღებული სესხები	99,500	-
მიღებული სესხების დაფარვები	31,962	-
საპროცენტო ხარჯები	6,962	4,327
გადახდილი სესხები	92,603	-
საპროცენტო შემოსავლები	8,603	14,558

ქართული ლარი ნაშთები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<i>მფლობელები</i>		
მიღებული სესხები	1,085,552	-
საიჯარო ვალდებულებები	22,561	-
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები*</i>		
მიღებული სესხები	75,000	75,655
სხვა აქტივები	-	40,947

* საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებში იგულისხმება სს "ბანკიკრედიტი", რომლის თანამფლობელი არის მკა გოცირიძე.

25.3 ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან განხორციელებული ოპერაციები

ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ანაზღაურებასა და მათ მიერ მიღებულ სარგებელში.

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ხელფასი და პრემია	85,061	87,537

მმართველობის ანგარიშგება

*„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
კაპიტალ ექსპრესი“*

2020 წელი

სარჩევი

შესავალი.....	4
საქმიანობის მიმოხილვა.....	5
კაპიტალ ექსპრესის შესახებ.....	5
კაპიტალ ექსპრესის მისია, მიზნები და ამოცანები-----	7
კაპიტალ ექსპრესის ძირითადი პროდუქტები -----	9
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები -----	12
კაპიტალ ექსპრესის განვითარების გეგმა-----	19
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები-----	20

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში, განხილულია შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კაპიტალ ექსპრესი“ (შემდგომში – „კაპიტალ ექსპრესი“ ან „კომპანია“) საქმიანობის აღწერა, მომსახურების სტანდარტები და ძირითადი ღირებულებები; დოკუმენტში განხილულია კომპანიის როგორც განვლილი მიღწევები, ისე მომავალში დასახული მიზნები. ასევე იდენტიფიცირებულია და განხილულია ის ბიზნეს რისკები რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის. „კაპიტალ ექსპრესის“ მენეჯმენტის მიერ შემუშავებულ „მმართველობის ანგარიშგების“ დოკუმენტში ასახულია მმართველი გუნდის ხედვა, სამომავლო გეგმები და დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

საქმიანობის მიმოხილვა

კაპიტალ ექსპრესის შესახებ

საქართველოს კანონის "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2012 წლის 22 დეკემბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კაპიტალ ექსპრესი“. 2013 წლის 14 თებერვალს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე შპს „კაპიტალ ექსპრესი“ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სარეგისტრაციო ნომრით 0720213 და მიანიჭა მას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი და ამ პერიოდიდან მოყოლებული თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

„კაპიტალ ექსპრესის“ უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ნიშნავს კომპანიის დირექტორს, მისი ყოველდღიური საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით. აქციების წილობრივი პაკეტი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ორგანიზაციის/ფიზიკური პირის დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი	რეგისტრაციის ქვეყანა / მოქალაქეობა	წილი (%)
მაკა გოცირიძე	01017002401	საქართველო	100%

„კაპიტალ ექსპრესის“ პირველი ფილიალი გაიხსნა თბილისში, თამარ მეფის გამზირზე. ზრდასა და განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა ფილიალის დამატება, ამიტომ 2015 წლის მარტის თვეში გაიხსნა მეორე ფილიალი თბილისში, გლდანის რაიონში. 2020 წელს მოხდა სათაო ფილიალის მდებარეობის ცვლილება და გაიხსნა საბურთალოს რაიონში;

თითოეული ფილიალის ყოველდღიურ საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს ფილიალის მმართველი, რომელსაც ნიშნავს კომპანიის დირექტორი.

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
კაპიტალ ექსპრესის სტრუქტურა

კაპიტალ ექსპრესის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2019 წელს დამტკიცებული
ორგანიზაციის სტრუქტურა. იხ. სურათ. N 1

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

- ილია გოგსაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
- თამარ ჩხეიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- ნათია ოსეფაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

N1 - კაპიტალ ექსპრესის ორგანიზაციის სტრუქტურა



კაპიტალ ექსპრესის მისია, მიზნები და ამოცანები

„კაპიტალ ექსპრესის“ მისიაა: მომხმარებელს შევთავაზოთ მაღალი ხარისხის, სწრაფი და მოქნილი საკრედიტო სერვისი. დახვეწილი საკრედიტო მომსახურების გზით ხელი შევუწყოთ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე მცირე და საშუალო კლიენტების სამომხმარებლო მოთხოვნების უზრუნველყოფას.

ხოლო ძირითადი ამოცანა არის: გამჭვირვალე საკრედიტო სისტემის შექმნის გზით, ხელმისაწვდომი გახდეს მიკრო სესხები ადგილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. შესაბამისად, კაპიტალ ექსპრესის მიზანია იყოს სტაბილურად მზარდი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

„კაპიტალ ექსპრესი“ საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის აქტიური წევრია. ასოციაცია აერთიანებს ქვეყნის წამყვან მიკროსაფინანსო კომპანიებს და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს წევრი ორგანიზაციების უფლებებისა და ინტერესების დაცვას, კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და სექტორის განვითარებას.

კაპიტალ ექსპრესის ღირებულებები

ვაცნობიერებთ რა ჩვენს როლს მიკროსაფინანსო სექტორში, ჩვენს საქმიანობაში ვეყრდნობით ისეთ ღირებულებებს როგორცაა:

- **პასუხისმგებლობა** - პასუხისმგებლიანი დაკრედიტება, რაც მიზნად ისახავს ჭარბვალიანობის თავიდან აცილებას; სოციალური პასუხისმგებლობა მომხმარებელთა, თანამშრომელთა, ბიზნეს პარტნიორთა, საზოგადოებისა და გარემოს წინაშე;
- **გამჭვირვალობა** - მომხმარებელს საშუალება აქვს შეადაროს ჩვენი ფასები და პირობები და გაეცნოს მოსალოდნელ საფრთხეებს. „კაპიტალ ექსპრესი“ ურთიერთობა მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან, ინვესტორებთან და საზოგადოებასთან ეფუძნება გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპებს.

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

- პარტნიორობა - გრძელვადიანი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა მომხმარებლებთან და ინვესტორებთან. პარტნიორობთან ურთიერთობისას, „კაპიტალ ექსპრეს“ ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს მათ ინტერესები.
- ხელმისაწვდომობა - წარმოადგენს არსებითად მნიშვნელოვან ფაქტორს პროდუქტების შემუშავების და მიწოდების არხების შერჩევის დროს.

გეოგრაფიული არეალი

„კაპიტალ ექსპრესი“ სესხების გაცემას ახორციელებს ძირითადად საქართველოს ერთ რეგიონში: ქვემო ქართლი, კერძოდ დაფარვის არეალი მოიცავს შემდეგ ქალაქებს : თბილისი, რუსთავი, მცხეთა.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

1. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ;
2. საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ;
3. ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი;
4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი;

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

კაპიტალ ექსპრესიის ძირითადი პროდუქტები

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების (100,000 ლარამდე) გაცემა.

„კაპიტალ ექსპრესი“ მომხმარებელს სთავაზობს სწრაფ და ხარისხიან ფინანსურ მომსახურებას. მისი ფინანსური პროდუქტებია: ბიზნეს სესხები, იპოთეკური სესხები და სამომხმარებლო სესხები. ორგანიზაციის საერთო მიზანია მომხმარებლისათვის ფინანსური მხარდაჭერა, როგორც ბიზნეს საქმიანობაში ასევე სამომხმარებლო და უძრავი ქონების ყიდვა, გამოსყიდვასა და განახლება-გარემონტებაში.

პროდუქტი N1 - სამომხმარებლო სესხი (კაპექს კრედიტი)

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირები	პირადი სამომხმარებლო მიზნების უზრუნველსაყოფად	300-2000 ლარი	3-24 თვე

პროდუქტი N2- იპოთეკური სესხი/იპო განვადება

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
ფიზიკური და იურიდიული პირები	უძრავი ქონების შეძენა, გამოსყიდვა, განახლება-რემონტი. სამომხმარებლო მიზნებისათვის.	2000-100 000 ლარი	24-120თვე

პროდუქტი N3-ბიზნეს სესხი

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
მცირე და საშუალო ბიზნესის მწარმოებელი ფიზიკური და იურიდიული პირები	ნებისმიერი ლეგალური ბიზნესის დაწყება ან არსებული ბიზნესის გაფართოება.	2000-100 000 ლარი	24-120 თვე


კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

პორტფელის სტრუქტურულ გადანაწილება პროდუქტების მიხედვით, 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, შემდეგნაირია: სულ პორტფელი შეადგენს 4 167 937 ლარს, საიდანაც 2 264 808 ლარი არის იპოთეკური სესხი, 1 661 402 ლარი არის ბიზნეს სესხი, ხოლო 127 289 ლარი არის სამომხმარებლო სესხი, იპო განვადება - 170 316 ლარი. ამასთან გაუფასურების რეზერვი შეადგენს 414 678 ლარი, შესაბამისად წმინდა გაცემული სესხის ჯამური მოცულობაა - 3 753 259 ლარი.

N1- პორტფელის სტრუქტურა პროდუქტების მიხედვით.



ინფორმაცია კაპიტალ ექსპრესის ფილიალების საქმიანობის შესახებ


2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოქმედი (აქტიური) კლიენტები რაოდენობრივად შემდეგნაირად არის გადანაწილებული ფილიალებს შორის: 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კაპიტალ ექსპრესს“ ჰყავს 449 აქტიური მსესხებელი, საიდანაც 344 მსესხებელი ეკუთვნის სათაო ფილიალს, 105 მსესხებელი- გლდანის ფილიალს.

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

N 2- კლიენტების რაოდენობა ფილიალების მიხედვით:



რაც შეეხება პორტფელის მოცულობის გადანაწილებას უზრუნველყოფის მიხედვით, ძირითადი დატვირთვა მოდის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე - 4 095 871ლარი, უზრუნველყოფის გარეშე - 127 289 ლარი¹;

N 3- პორტფელის მოცულობა უზრუნველყოფის მიხედვით:



¹ გაანგარიშება გაკეთებულია გაუფასურების რეზერვის მოცულობის გათვალისწინების გარეშე. ხოლო წმინდა გაცემული სესხების მოცულობა შეადგენს 3 753 259 ლარი.

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

- ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	226,770	322,090
გაცემული სესხები	3,753,259	3,204,575
აქტივის გამოყენების უფლება	54,675	67,560
ძირითადი საშუალებები	19,374	33,812
არამატერიალური აქტივი	32,815	43,520
გასაყიდი ქონების აქტივი	-	227,941
სხვა აქტივები	225,605	90,531
საგადასახადო აქტივი	-	71,999
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	67,691	24,515
სულ აქტივები	4,380,189	4,086,543
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1,522,940	1,522,940
გაუნაწილებელი მოგება	1,041,384	1,110,077
	2,564,324	2,633,017
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	1,692,546	1,363,205
საიჯარო ვალდებულებები	47,855	75,505
სხვა ვალდებულებები	75,464	14,816
	1,815,865	1,453,526
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4,380,189	4,086,543

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საპროცენტო შემოსავალი	969,296	1,162,707
საპროცენტო ხარჯი	(213,693)	(218,953)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე	755,603	943,754
სესხის გაუფასურების რეზერვი	(102,179)	90,711
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	653,424	1,034,465
საკომისიო და სხვა შემოსავალი	183,008	252,741
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	(565,761)	(725,555)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	88,698	(19,012)
მოგება დაბეგვრამდე	359,369	542,639
მოგების გადასახადის ხარჯი	(28,822)	(98,103)
წლიური მოგება	330,547	444,536
სხვა სრული შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	330,547	444,536

კლიენტებზე გაცემული სესხები და ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გაცემული სესხები	4,087,822	3,486,396
დარიცხული პროცენტები	80,115	86,880
გამოკლებული: საექვო ვალების ანარიცხები	(414,678)	(368,701)
სულ გაცემული სესხები	3,753,259	3,204,575

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
უზურნველყოფის გარეშე გაცემული სესხები	127,289	274,988
უძრავი ქონებით უზურნველყოფილი სესხები	4,095,871	3,298,288
გამოკლებული: საექვო ვალების ანარიცხები	(414,678)	(368,701)
სულ გაცემული სესხები	3,753,259	3,204,575

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ფინანსური მონაცემები 2020 და 2019 წლის მდგომარეობით:

	2020	2019
საშუალო სესხის პორტფელის ზომა	3,787,109	4,175,058
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	62%	69%
საექვო ვალების ანარიცხები/კლიენტებზე გაცემული სესხები	10%	10.3%
საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი	10%	17.40%
უკუგება აქტივებზე	8%	11%
უკუგება მთლიანი კაპიტალზე	13%	17.34%
პორტფელის მომგებიანობა	17%	27.70%
საპროცენტო ხარჯები/სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	5.1%	6.13%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	175%	94%
მიმდინარე სასესხო ვალდებულების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთან	66%	54%

- საშუალო სესხის პორტფელის ზომა გაანგარიშებულია შესაბამის წლის საწყისი და საბოლოო პერიოდისთვის არსებული სესხის მოცულობის საშუალო არითმეტიკულით. საშუალო სესხების პორტფელის მოცულობა 2020 წელს შემცირებულია დაახლოებით 9%-ით წინა წელთან შედარებით, რაც განპირობებული იქნა 2020 წელს არსებული Covid-19-ის პანდემიის და მასთან დაკავშირებული შეზღუდვებით;
- კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი წარმოდგენილია მთლიანი კაპიტალის

შეფარდებით რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე. რისკის მიხედვით შეწონილ

აქტივებს კომპანია განიხილავს როგორც მთლიან აქტივებს გამოკლებული ფულადი სახსრები. აღნიშნული კოეფიციენტი შემცირებულია 2020 წელს, ვინაიდან წინა წელთან შედარებით კაპიტალ ექსპრესმა გაზარდა სასესხო ვალდებულებები.

- საექვო ვალების ანარიცხების შეფარდება გაცემული სესხების მოცულობასთან მნიშვნელოვნად არ შეცვლილა წინა წელთან შედარებით. კაპიტალ ექსპრესის მიერ საექვო ვალების ანარიცხების შეფასება ხდება ფასს -9 სტანდარტის მიხედვით, რომლის შესაბამისად შეფასდა როგორც 2019 წლის ასევე წინა წლების საექვო ვალების ანარიცხები. ფასს-9-ის სტანდარტის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე, არის:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას კაპიტალ ექსპრესი იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

- პორტფელის მომგებიანობა (საპროცენტო შემოსავალი / საშუალო პორტფელი) შემცირებულია 2019 წელთან შედარებით, რაც გამოწვეულია კაპიტალ ექსპრესის ხელმძღვანელის მიერ საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის შეცմირების პოლიტიკის გატარებით, კონკურენციის პირობების გათვალისწინებით. ასევე, სესხის პორტფელში შემავალი მაღალ საპროცენტო განაკვეთიან პროდუქტის- „სამომხმარებლო სესხების“ მოცულობის მკვეთრად შემცირებით.
- ლიკვიდობის კოეფიციენტი გაანგარიშებულია, როგორც ფულადი სახსრების თანაფარდობა მთლიან ვალდებულებებს გამოკლებული 6 თვეზე მეტი ნარჩენი ვადის მქონდე სასესხო ვალდებულება, კერძოდ: სუბორდინებული ვალდებულებების და ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხების სახსრების ჯამი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო - 1 109 410 ლარი, ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1 686 212 ლარი. მოცემული კოეფიციენტი აღემატება სეზ-ის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ ქვედა ზღვარს (18%-ს). მართალია, ფულის და ფულის ექვივალენტების მოცულობა შედარებით ნაკლებია წინა წელთან, თუმცა მენეჯმენტის მიერ მოზიდული იქნა სახსრები ისეთი ფორმით თუ ისეთი ფინანსური ინსტიტუტებიდან, რამაც საშუალება მისცა კომპანიას, კანონის გათვალისწინებით, გამოიქვითოს და შეინარჩუნოს მაღალი ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- უკუგება აქტივებზე (მთლიანი სრული შემოსავალი / მთლიანი აქტივები) და უკუგება მთლიან კაპიტალზე (მთლიანი სრული შემოსავალი / მთლიანი კაპიტალი) შემცირებულია მნიშვნელოვნად. რაც განპირობებულია მთლიანი სრული შემოსავლის შემცირებით წინა წელთან შედარებით; მიუხედავად იმისა, რომ სასესხო პორტფელის ზრდა ფიქსირდება 2020 წელს, მთლიანი სრული შემოსავლის მაჩვენებელი შემცირებულია წინა წელთან შედარებით: ეს განპირობებულია შემდეგი ფაქტორით: წლიური საპროცენტო შემოსავლის კლებით; როგორც ზემოთ აღინიშნა: სესხის პორტფელში შემავალი მაღალ საპროცენტო განაკვეთიან პროდუქტის- „სამომხმარებლო სესხების“ მოცულობის მკვეთრად შემცირდა, ხოლო ამ ნაწილში არსებული პორტფელის უმეტესი წილი ვადაგადაცილებაში არის და აღარ ხორციელდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა; ამასთან, მოხდა უძრავი ქონებით

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

უზრუნველყოფილ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთების შემცირება 2%-დან 4%-მდე; შესაბამისად, მიუხედავად ხელმძღვანელობის მიერ ხარჯების ყველა მიმართულებით შემცირებისა, საპროცენტო პოლიტიკის ცვლილება, გავლენა იქონია საპროცენტო შემოსავლის შემცირებას და შესაბამისად წლიური სრული შემოსავლის მოცულობაზე;

მიმდინარე სასესიო ვალდებულების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთან გაზრდილია 12% -ლი პუნქტით, რაც გამოიწვია კაპიტალ ექსპრესის ხელმძღვანელის მიერ გრძელვადიანი სესხების მოზიდვით;

ამასთან ღია სავალუტო პოზიციის შემცირების მიზნით უპირატესობა ენიჭება ეროვნულ ვალუტაში დაფინანსების წყაროებს.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ჩვენი გუნდი - „კაპიტალ ექსპრესში“ ამჟამად დასაქმებულია 13 თანამშრომელი, საიდანაც 5 ქალია და 8 მამაკაცი. მას ჰყავს საკმაოდ ძლიერი, ერთგული და გამოცდილი მმართველი გუნდი, როგორც წამყვან, ისე შუალედურ მენეჯერულ პოზიციებზე; კაპიტალ ექსპრესის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევექმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის მთავარი საყრდენი სამართლიანობა და ობიექტურობაა, რომელთა გამოვლენას კაპიტალ ექსპრესი ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და სხვადასხვა მამოტივირებელი აქტივობების განხორციელების გზით; კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კაპიტალ ექსპრესის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი. ჯანსაღი გარემო შრომისათვის აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე, „კაპიტალ ექსპრესის“ მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები მისი წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე - კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, „კაპიტალ ექსპრესი“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

კორუფციასთან ბრძოლა - კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ფი მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კაპიტალ ექსპრესისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

კაპიტალ ექსპრესის განვითარების გეგმები

„კაპიტალ ექსპრესის“ უმთავრესი მიზანია, კლიენტებისთვის საიმედო საკრედიტო მომსახურების შეთავაზება მათთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებით. არსებული კლიენტების კმაყოფილების გასაზრდელად და ახალი კლიენტების მოსაზიდად, დაგეგმილია:

- ვებ-გვერდზე სხვადასხვა ფუნქციების აქტივიზაცია, მაგალითად დახურული თუ მიმდინარე ვალდებულების შესახებ ონლაინ ინფორმაციის მიღება (საიტზე პროფილის გვერდზე ავტორიზაციის გავლით.), გამარტივებული პროცედურები ონლაინ განაცხადის შესავსებად.
- კომპანია აქტიურად იმუშავებს დამატებით ფულადი ინვესტიციების მოზიდვაზე ფინანსური ინსტიტუტებიდან.
- ბიზნეს სესხების ზრდა და ახალი საფინანსო პროდუქტების დანერგვა:
 - მომხმარებლებისთვის შეთავაზებული იქნება **ავტო სესხი**, ავტომობილის უზრუნველყოფით:

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
ფიზიკური პირები	პირადი სამომხმარებლო მიზნების უზრუნველსაყოფად	2500-25000 ლარი	6-48 თვე

- პირებს, ვინ იღებენ მონაწილეობას სახელწიფო ტენდერებში და ესაჭიროებას ტენდერის დროულად შესასრულებლად დასაფინანსება შეთავაზებული იქნება **„ტენდერის სესხი“** - მომხმარებელზე მორგებული პირობებით:

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

პოტენციური კლიენტი	მიზნობრიობა	სესხის მოცულობა	სესხის ხანგრძლივობა
იურიდიული პირი	ბიზნეს საქმიანობის დაფინანსება	2000-100000 ლარი	1-120 თვე

- საკრედიტო რისკების ოპტიმიზაციის მიზნით, იგეგმება სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვის შემცირება ჯანსაღი დაკრედიტების პრინციპების და პრობლემურ კლიენტებთან ინდივიდუალური მუშაობის პროცედურების გაუმჯობესების გზით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტის საერთო მიზანია, შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ, კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობის შეინარჩუნებისკენ. გამოვყოფდით რამდენიმე ფაქტორს როგორც პოტენციურ რისკებსა და გაურკვევლობებს, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ფის წარმატებით ფუნქციონირებასა და სტაბილურ ზრდა-განვითარებაზე;

საკრედიტო რისკი - წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კაპიტალ ექსპრესი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი. ფის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ორგანიზაციის რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ორგანიზაციის საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს პოლიტიკები და პროცედურები. კაპიტალ ექსპრესი რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას.

საბაზრო რისკი - არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკი - წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კაპიტალ ექსპრესის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კაპიტალ ექსპრესის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე და შიდა ინფლაციის განაკვეთზე. კაპიტალ ექსპრესს გააჩნია სესხები, როგორც ლარში, ასევე დოლარში .

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ლიკვიდურობის რისკში - იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით კომპანია ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

კონკურენცია. საქართველოს ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია ისეთი მომსახურებით რასაც „კაპიტალ ექსპრესი“ სთავაზობს თავის მომხმარებლებს. შედეგად ყოველმა არასწორმა გადაწყვეტილებამ შეიძლება უარყოფით გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე.

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებელზე. შესაბამისად, მსგავსი რისკები ყოველთვის გასათვალისწინებელია საქართველოსთვის და მსგავსი ქვეყნებისთვის.

ინფორმაციული უსაფრთხოება. 21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და „ფიშინგის“ მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად კაპიტალ ექსპრესი არ ივიწყებს მოსალოდნელ თავდასხმის მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს აწესებს ორგანიზაციის მასშტაბით. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები. ასევე ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია მკაფიოდ და მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში.

კაპიტალ ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა. კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. „კაპიტალ ექსპრესი“-სათვის პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს შესაბამის ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. გარდა ამისა, „კაპიტალ ექსპრესი“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა „კაპიტალ ექსპრეს“ საქმიანობის ხელშეწყობით.

„კაპიტალ ექსპრესის“ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 3 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



თ.მაჭავარიანი